

*Handwritten signature*

პავსკის  
ქალაქი

*Handwritten notes:*  
11.11.1919  
საქმე  
საქმე  
საქმე

КАВКАЗСКИЙ  
ГОРОДЪ



ფასი ნომრისა 3 მან.

Цѣна номера 3 руб.

№ 1.

თბილისი  
თიფლის

15

იანვარი

1919 წ.  
გ.



საქართველოს რესპუბლიკის

# ქალაქთა კავშირის

სახალხო განათლების განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მას აქვს უკვე დამზადებული რამოდენიმე ათასი ცალი

## კ ვ ე უ ლ ი

ქალაქის და ერობის თვითმართველობებს შეუძლიათ გამოიწერონ თავიანთ შკოლებსათვის.

რეკლუში სსმ გვარია: პირველი. მეთრე და მესამე სადუხურის. დართული და რუსული წერისათვის.

ცალი რვეულისა ეღირება ჩვენ საფარობში 40 კ.

მისამართი: თბილისი, სომხის ბაზარი № 6, ტელ. 7-30.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის

## ს გ ა მ ბ ა

იღებს ყოველგვარ საქმეებს შესასრულებლად ქართულ, რუსულ, სომხურს და აგრეთვე ევროპიულ ენებზე.

სცაბზს აქვს წიგნთსაკაბზაჟი და სასაბჟეი მანდანები.

საქმეები სრულდება მეტად სუფთად და ჩქარა.

ფასები ზომიერია.


კანტორა ღია არის დღის 8 საათიდან საღამოს 4 საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

მისამართი: თბილისი, პუშკინის ქ. № 3. ტელ. 6-12.

კავკასიის  
ქალაქი

КАВКАЗСКИЙ  
ГОРОДЪ

6 104



№ 1.

თბილისი  
Тифлизо

15 იანვარი 1919.  
января

Отъ редакціи: Въ виду измѣнившихся цѣнъ на бумагу и новаго тарифа печатниковъ, редакція вынуждена поднять подписную цѣну на журналъ до 60 руб. въ годъ; 35 руб. на полъ года; 15 руб.—на 3 мѣс. цѣна отдѣльн. номера—3 руб.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ქ ა რ თ უ ლ ა დ :

- 1) ძველი ერობელი. — ერობის გამგეობის მოწყობისათვის (თარგმანი).
- 2) ი. ჩერქეზიშვილი. — მუნიციპალური პოლიტიკის საკითხი (თარგმანი).
- 3) ბუდაევსკი. — უღელტეხილი გზა (თარგმანი).
- 4) ი. ირემაშვილი. — ერობა ჩვენში.
- 5) კატო ბ-ძე. — სკოლის დემოკრატიზაცია (დასასრული).
- 6) ნ. გიკა. — შრომის ბირჟა რუსეთში (თარგმანი).
- 7) NN. — აღმოსავლეთ საქართვევ. მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.
- 8) თინანსიური შეღავათი ერობებს და ქალაქებს
- 9) ქრონიკა { ქალაქთა თვითმართველობებში.  
ერობათა თვითმართველობებში.

### რ უ ს უ ლ ა დ.

- 1) გ. თუმანოვი. — ერობის მართველობის მთავარი ორგანოები.
- 2) ვ. იანოვიჩი. — საერობო ყრილობის, გამგეობის და კომისიისთვის.
- 3) ნ. ბუდაევსკი. — უღელტეხილის გზა.
- 4) ნ. იშკოვი. — დემოკრატიული ერობა და სახალხო განათლება.
- 5) რ. ნევიტი. — ფერმალთა უფლების მდგომარეობის საკითხი.
- 6) ქ რ ო ნ ი კ ა.

## С о д е р ж а н и е :

### На грузинскомъ:

- Старый Земедь. — Къ организаціи Земскихъ Управъ: (переводъ).  
И. Л. Черкезашвили. — Вопросъ муниципальной политики.  
Н. Будаевскій — Перевальная дорога: (переводъ).  
И. Иремашвили. — Земство у насъ.  
Като В-дзе. — Демократическія школы (окончаніе).  
Н. Гигъ. — Биржи Труда въ Россіи.  
NN — Свѣздъ учителей восточной Грузіи.

### Х Р О Н И К А.

### На русскомъ:

- Г. Тумановъ. — Высшіе органы земскаго Управленія.  
В. Яновичъ — О земскихъ собраніяхъ, управъ и комиссіяхъ.  
Н. Будаевскій — Перевальная дорога.  
Л. Ишковъ. — Демократическое Земство и народное Образованіе.  
Р. Девитъ. — Къ вопросу о правовомъ положеніи лекарескихъ помощниковъ.

### Х Р О Н И К А.

## ერობის გამკეობის მოწეობისთვის.

როდესაც ახალ საქმეს იწყებენ, ძნელია წინდაწინვე მისი განვითარება და მთლიანი გეგმის შემუშავება.

ამიტომ, პირველ ხანებში კმაყოფილდებიან იმით, რომ ზოგადად შეიმუშავებენ რაიმე მუშაობის გეგმას და შორეულისთვის-კი აღნიშნავენ ხოლმე რაიმე თვალსაჩინო საქმის წარმოების გეზს.

ამნაირათ ვითარდებოდა ყოველივე კერძო საქმე, როგორც არის მაგალითად ვაჭრობა-მრეწველობა და სხვა. ამ გზითვე წარმოიშვა კოოპერატივები. პირველ ხანებში იხსნება პატარა სავაჭროები, სახელოსნოები, საწყობები და შემდეგში კი თანდათანობით ღებულობს სრულ სახეს, იქცევა მძლავრ დაწესებულებათ, რომელიც აწარმოებს დიდ ვაჭრობა-მრეწველობას, იძენს ქარხნებს, საკუთარ ორთქლმავალებს და სხვას.

ამ გზითვე ვითარდებოდა რუსეთის ძველი ერობანი. გასაკვირვალი იყო ძველი რუსეთის ერობების მოღვაწეთა გახუთკეცებული ენერგია, რომლითაც ისინი საფუძველს უდებდენ ერობის საქმეს.

საქართველოს ახალგაზდა ერობებმა ამოირჩიეს სხვა გზა, გზა მეტად ჩქარი, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნილება, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე ცხოვრება. ეს გასაგებია, ძლიერ დიდხანს უცადეს კავკასიაში ერობის შემოღებას და ძლიერ მრავალი მოთხოვნილებანი დაგროვდა ამ ხნის განმავლობაში; მოთხოვნილებანი რასაკვირველია ადვილათ შესასრულებელი და განსახორციელებელია ერობის მხრივ. რასაკვირველია ამის შეძლება არის. მთავარი წყარო, ერობების მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი, იყო და მომავლისათვისაც დარჩება საერობო მიწის გადასახადი.

1915—17 წლების გამორკვევით, თვითუფლ პირზე, ერობის გადასახადიდან, მოდიოდა:

ბათუმის ოლქში	„	89	კაპ.
ქუთაისის გუბ-ში	„	54	„
სოხუმის ოლქში	1	07	„
თბილის. გუბ-ში	1	04	„
ზაქათალ. ოლქში	„	81	„

ე. ი. საშვალო რიცხვით „ 87 „

რუსეთში კი ეს, 1910 წელში, 2 მ. 04 კაპ. აღწევდა. დაბევრის მომატება ამ რიცხვამდის რასაკვირველია შესაძლებელია, მაგრამ 2—3 წლის განმავლობაში და არა უცბათ. ასეთი მომატება არ შეავიწროებდა მცხოვრებლებს და ერობას კი მისცემდა 2,631 ათასიდან 5 1/2 მილიონამდის



შემოსავალს. თუ მივაქციეთ ყურადღება იმას, რომ მანეთის ღირებულება დაკლებულია და ქალაქის ფული სოფლებში ბლომათ მოიპოვება, მაშინ ეს დაბეგვრა მიაღწევდა 20—25 მილიონამდის. ეს ჯამი მეტად მძლავრია. ამ ფულით ბევრი რამის გაკეთებან შეიძლება; მაგრამ ამ შეძლებას ხელს უშლის ერთგვარი მდგომარეობა. ერობათა მოთხოვნილებანი იმდენათ სხვა და სხვა ნაირი, იმდენათ მრავალია, რომ მან არ იცის რომელი მათგანი დააკმაყოფილოს პირველ რიგში და რომელი მეორე რიგში.

ძალაუნებურათ იბადება შიში, როდესაც ეცნობით საქართველოს ერობათა ხარჯთაღრიცხვას. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სენაკის სამზარო ერობის გამგეობის ხარჯთაღრიცხვა. ჯამი ამ ხარჯთაღრიცხვისადის 12.153.187 მანეთამდის. მაზრაში 145.950 მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით თვითეულ სულზე მოდის 83 მან. და 20 კაპ.

თუ მივიღეთ მხედველობაში ოჯახი, რომელიც შესდგება 5 სულისგან (2 უფროსისაგან და სამი უცროსისაგან) დაბეგვრა აღწევს ხოლმე საშვალთ 416 მანეთს, მაშინ როცა დაბეგვრის ზომით მიღებულია 54 კაპ.

ზოგიერთ ოჯახებზე გადასახადი მოდის ნაკლები და ზოგიერთზე კი მეტი; ამის გამო არ არის გასაკვირველი, რომ ზოგ ოჯახს გადასახადი დაედოს ათას მანეთამდე. რამდენიც არ უნდა იყოს მოგროვილი ფული სოფლათ, რაც უნდა დაცემული იყვეს მანეთის ფასის ღირებულება, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ასეთი დაბეგვრა არ იქნება საზღვარს გადაცილებული. ეს დაბეგვრა განუხორციელებულია, მცხოვრებთ არ შეუძლიათ ასეთი ბეგარა გადიხადონ; და თუ კი ასეთი უზღვავე მოთხოვნილება, ე. ი. ბეგარა, წავუყენეთ მცხოვრებთ, მაშინ ჩვენ ვიგემებთ იმასვე, რაც უკვე იგემა სტავროპოლის ერობამ.

ამნაირათ გადასახადის მოგროვება შეუძლებელია, შესაძლებელი კია, რომ გამოწვეულ იქნას უთანხმოება; ვალიზიანება და ხალხი ჩამოშორდეს ასეთ დიდს დაწესებულებას, როგორიც არის ერობა.

ამისთვის აუცილებელია, გადათვალთვალთ იქნეს გამგეობების მიერ შემუშავებული მოთხოვნილებანი და შემოკლებულ იქნეს იმ დონემდის, რომ მცხოვრებლებმა შესძლონ მისი გადახდა. თითქმის ხარჯთაღრიცხვის ერთი გადათვალთვალთ თვალში გვეცემა ის შეუსაბამო ხარჯთაღრიცხვა სხვა და სხვა საჭიროებისათვის რომ არის გადადებული. თუმცა ეს ხარჯთაღრიცხვა კარგი მიზნებისათვისაა, მაგრამ დაუმუშავებლათ; მაგალითად 520.000 მან. სურთ მოიხმარონ აგრონომიულ ნაკვეთების შესაძენათ, როდესაც არც აგრონომები და არც შენობა ჯერ-ჯერობით არ არის, და შეუძლებელიც არის შეძენილ იქნეს რაიმე, იმის გამო, რომ ბაზარზე არავითარი საქონელი არ მოიპოვება; 425.000 მანეთი გადადებულია მედიკამენტებისათვის, ჯერ-ჯერობით არც ეს მოიპოვება; 505.000 მან. ავადმყოფების საზღოსთვის, როდესაც მათთვის საწოლებიც არ არის მომზადებული; 3.483.900 მანეთი გადადებულია 126 სკოლისათვის, როდესაც არ არის არც სასკოლო შენო-

ბები, არც მასწავლებლები და არც სახელმძღვანელოები; 690.000 მან. ახალი გზების გასაყვანათ, როდესაც არც გეგმა და არც ხარჯთაღრიცხვა მათთვის არ არის შემუშავებული.

მაგრამ, ჩვენ არ შეეჩერდებით ამ სამეურნეო საქმეებზე, რადგან ჯერ-ჯერობით ჩვენ გვინტერესებს უფრო მცირე და აუცილებელი საკითხი, საკითხი ერობის გამგეობათა მოწყობისა.

საკმარისია ითქვას, რომ სხვა და სხვა პარაგრაფებით და მუხლებით ხარჯთაღრიცხვაში 16 მუხლი აღმოჩნდა, სხვა და სხვა განყოფილებებით, სექციებით და ნაწილებით, როგორც უწოდებენ თვით ხარჯთაღრიცხველნი; სხვა და სხვა მოვალეობით სახელწოდებით და ჯამაგირებით, აღმოჩნდა 45. ამ სხვა და სხვაობაში გარკვევა ძნელია, და მათი განმარტება შეიძლება მხოლოდ ნუსხით. და ამიტომ მოგვიხდა, შეგვედგინა ეს ქვემო აღნიშნული ნუსხა, რომ უფრო გარკვევით წარმოვიდგინოთ სხვა და სხვა მოვალეობანი, თავიანთი სახელწოდებებით, თავიანთი ჯამაგირებით და სხვა. \*)

პირველათ, რაც ამ ნუსხის გადათვალისწინების შემდეგ თვალში გვეცემა, არის მრავალრიცხოვანი შტატი სამაზრო გამგეობისათვის, რომელსაც შეადგენს 95 კაცი. ძალიან ცოტა მოიპოვება ისეთი საგუბერნიო გამგეობა, რომელშიაც შედიოდეს ასეთი მრავალრიცხოვანი შტატი მოსამსახურეებისა, როგორც არის ეს სამაზრო გამგეობის შტატი, ისიც მაშინ როცა არ არის არც დამზღვევი და არც სტატისტიკური განყოფილებანი: მთელი ხარჯი ამ გამგეობის შენახვისა აუარებელია. ძველი ერობის მოღვაწეს ენაც არ მოუბრუნდებოდა ეთქვა, რომ სამაზრო გამგეობის შენახვისათვის საჭიროა ნახევარი მილიონი მანეთი.

უფრო გასაკვირვალა განაწილება მოსამსახურეთა ხარისხის შორის; 50%, ხარჯის ნახევარი. მიღის სხვა და სხვა, კანცელიარიის მუშაობის ხელმძღვანელობაზე: მათში 14 უფროსი და 9 მათი თანაშემწე და კიდევ 13 საქმისმწარმოებელი. სად უნდა უშველონ თავს უბრალო კანცელარისტებმა, როდესაც თვითველ მათგანზე მოღის 1 $\frac{3}{4}$  უფროსისა?

ხოლო ორი სექცია: დაფასების და მედიკო-სანიტარული დარჩენ უხელმძღვანელოთ. იქ ფიქრობენ დანიშნონ მხოლოდ თითო საქმის მწარმოებელი; სამაგიეროთ ემატება ორი მიწის მზომელი, ერთი საწერ მანქანაზე მომუშავე და კიდევ ერთი ისეთი პირი, რომელიც შეაგროვებს სტატისტიკურ ცნობებს. სპეციალისტი ხელმძღვანელი კი, აქ ამ სექციაში, საჭირო არის. სამაგიეროთ ქარხნის და სატრანსპორტო ცხენების სექციებში იმყოფებიან მხოლოდ თითო უფროსი. რა უნდა ქნას სატრანსპორტო ცხენების უფროსმა უთანაშემწეოთ? ცხენები კი, მას ეყოლება ძლიერ ბლომათ, რადგან ცხენების შეძენისათვის გადადებულია 30 ათასი მანეთი და მათი შენახვისათვის

\*) ნუსხა იხილე მე 6-სე გვერდზე.



სივლითი დასახლებების სახელწოდებანი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	შოსამსახ. რიცხვი.		ჯამაგირების რაოდენობა.		
																	·სადასამსახრე		·სადასამსახრე		
																	·სადასამსახრე	·სადასამსახრე	·სადასამსახრე	·სადასამსახრე	
I	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	14	137.800	50%	137.800	
	1	1	1	1	1	1	2	1	1	1	1	1	1	1	1	1	9	74.400	—	74.400	
	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	13	92.400	304.600	92.400	
II	1	1	4	2	—	—	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	11	66.600	19%	66.600	
	1	1	1	1	—	—	1	—	1	1	—	—	—	—	—	5	21.000	—	21.000		
	2	1	1	—	1	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	5	24.000	111.600	24.000		
III	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	6	36.000	10%	36.000	
	—	2	—	2	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	43.000	—	43.000		
	—	—	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	1	12.000	91.000	12.000		
IV	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
	—	—	—	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	17	84.000	20%	84.000	
	5	—	—	—	—	—	3	—	—	—	—	—	—	—	—	—	9	34.800	118.800	34.800	
	12	4	11	5	7	3	6	8	11	5	6	2	9	4	1	1	95	—	626.000	—	626.000

კი 100 ათასი მანეთი. არა ნაკლებ გამოურკვევლობას იწვევს აგრონომიული სექციის გამგე, რომელსაც აქვს 7.200 მანეთი, მაშინ როცა ამის გარდა არის კიდევ სამაზრო აგრონომი 12.000 მან. ჯამაგირით, რომელსაც შეეძლო დადგომოდა სათავეში აგრონომიულ საქმეს.

ასეთივე გასაკვირველია ის მოვლენა, რომ თვითმეულ აგრონომიულ ნაკვეთებს ცალცალკე საქმისმწარმოებელი ყავს, ვითომც და აგრონომიული ნაკვეთის საქმე მხოლოდ ქალაქის წერა იყოს და არა აღორძინება და აყვავება აგრონომიისა მცხოვრებთა სასარგებლოდ.

ამ 16 განყოფილებათაგან ორს—ეწოდება „ნაწილი“ № (3 და 8). ორს განყოფილება (№ 6 და 10) ათს—სექცია, ხოლო ორი განყოფილება—კანცელარია და ბუხვალტერია აცდა ასეთ სახელწოდებას.

ასეთ მრავალ განყოფილებებში და სექციებში უნდა მოკალათებულიყო ერობის ყველა დარგის მუშაობა, მაგრამ მათ შორის არცკია ნახსენები ისეთი თვალსაჩინო დარგი, როგორც არი მაგალითად: სამგზავრო, დასახლვევი, საბეითლო, საკრედიტო, საფოსტო და სხვა. არც ამ სექციებში და არც ხარჯთაღრიცხვაში არ არი აღნიშნული სამეურნეო იარაღის, წიგნების და აფთიაქების საწყობები. სამაგირით არი განყოფილებანი, რომელთა დანიშნულება სრულებით გაუგებარია. ასეთია მაგალითად ერობის მოწყობის სექცია; ამ სექციაში ორი მოსამსახურეა, უფროსი 9.600 მან. და მხაზველი 7.800 მან.

როგორი „მოწყობილებით“ იუფროსებს უფროსი და ან და რა ერობას დაუწყებს შემოფარვლას მხაზველი! არი სექცია „მომწყობელი“ (№ 11) ალბათ გულისხმობენ შენობების ამშენებლებს. ეს მოსაზრება მართლდება შტატით: 1 უფროსი 9600 მან. 4 დესეტნიკი 6000 მან. თვითმეულს და მხაზველი 7.800 მან. ჯამაგირებით. თუ ეს ასეა, მაშინ ამ საქმის ცალკე სექციათ გამოყოფა დიდი შეცდომა იქნება, რადგანაც მასთან გვერდით სდგას ტექნიკური განყოფილება, რომლის უფროსი ლეზულობს 12.000 მანეთს და რომელიც რასაკვირველია ალბათ ინჟინერი არი და ამის გამო ექვს გარეშეა, რომ უნდა მიენდოს ყოველივე შენობის აღმართვა. არი კიდევ ისეთი შემთხვევა, რომ ერთი და იგივე საქმე გაყოფილია სამ ნაწილათ: საფინანსო—სტატისტიკური ნაწილი (№ 3) ერობის საჯამაგირო სექცია (№ 5). მაგრამ რა სტატისტიკაა, ეს არ არი ნაჩვენები: მიწის დამფასებელი თუ ეკონომიური საკითხების? გადაწყვეტილი იყო მოეწვიათ ორი სტატისტიკოსი 9.600 მანეთის ჯილდოთი და სამი მოანგარიშე 4.800 ჯილდოთი. მიწების დასაფასებლათ ეს ძლიერ ცოტა ძალაა და ეკონომიისათვის თითქმის საკმარისია, მაგრამ მაშინ რა უნდა ქნას სხვა კანცელიარისტებმა, რომელთა რიცხვი (12) ჯამაგირები კი (86.400 მ.)?

ერობათა საფინანსო კეთილდღეობისათვის აუცილებელია სწორი განაწილება და სწორი განაწილებისათვის კი, საჭიროა ძირითადი და მიმდინარე სტატისტიკა, რომლის საქმეა შეადგინოს სრული ინვენტარი

გადასახადებისა, დაფასებისა და შემოსავლისა, და ამიტომ „დაფასება“ სტატისტიკიდან არ შეიძლება გამოიყოს, რადგან ეს არი მიზანი და საშუალება მის მისალწევათ.

სტატისტიკა, როგორც ტექნიკურათ სპეციალური საქმე, უნდა აწარმოებდეს თავის სპეციალურ საქმეს და არ უნდა იყვეს გახვეული კანცელარულ საქმეში. მხოლოთ ამ შემთხვევაში მოგვეცემს ის უტყუარ ცნობებს დაფასების და ქონების შესახებ. საჯამაგირო წიგნების საწარმოებლათ და ქალაქების მოსამზადებლათ საკმარისია ორი გამოცდილი მოსამსახურე, და სრულებით არაა საჭირო, რომ დაარსდეს ცალკე სექცია—გამგეთი საქმისმწარმოებლით, მწერლით და ორი მოანგარიშეთი და კიდევ რალსც უფროსებით.

მაშ ასე, უკვე ვიცით, რომ ის მოსაზრებანი რომელიც აქვს ამ ზემოხსენებულ გამგეობას მეტად მოუხერხებელი და გაუნხორციელებელია. ეს შეცდომაა. „მაგრამ, ჩვენ ვიცით რომ, არ შეეცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს“. შეცდომას არ მოყვება ცუდი შედეგი თუ ის დროზე იქნა გასწორებული და ასეთი შეცდომა კი მხედველობაში მისაღები არ არი. დრო კიდევ წინ გვაქვს რომ ვიაროთ, ერობათა ნაცადი გზით. მართლაც და, ხომ ყველაფერი ცუდი არ არი ის, რაც წარსულში იყო? ჩვენ ყოველთვის უნდა ვისარგებლოთ წარსულის ნაცადებით.

უნდა ვიცოდეთ რომ ახალი საქმე უნდა იქნეს დაწყებული ძალიან ფრთხილათ, ძლიერ მოფიქრებული ნაბიჯით და მაშინ შეიძლება მხოლოთ საქმე დაგვირგვინდეს. როგორც მათემათიკაში დამტკიცება და გამოკვლევა აუცილებელია, ისე გამგეობის მომავალი მოწყობაში აუცილებელია გამორკვევა და თავიდან აცდენა ზედმეტი ბარგისა.

**ქველი ერობელი.**

(შემდეგი იქნება)

## მუნიციპალური პოლიტიკის საკითხი.

მუნიციპალიტეტების პოლიტიკა მიწის სეკითხში.

მუნიციპალიტეტების აგრარული პოლიტიკა შეიძლება გაიყოს, ეგრედ წოდებულ: „საკუთარ მიწის პოლიტიკა“-თ და „სპეციალ მეურნეობის“ პოლიტიკათ. პირველი შეეხება ქალაქთა თვითმართველობების მიწასთან იურიდიულ დამოკიდებულებებს, მეორე ისახავს მიზნათ, მუნიციპალიტეტების მიწების დაცვა—გამოყენებას. რადგანაც ჩვენ გვინდა შევხებით მუნიციპალიტეტების მიწის პოლიტიკას, საჭიროთ ვრაცხთ განვიხილოთ როგორც პირველი, ისე მეორე საკითხი; ამის გამოც ეს წერილი ორ ნაწილათ იყოფა: პირველი—ძირითადი მიზანი მიწის პოლიტიკისა და მეორე—კერძო მიზანი, რომელიც შედის ქალაქთა მიწის მეურნეობის სფეროში.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტების პირველ მიზანს, მას აქვს დასახული ქალაქის ტერიტორია გარდაქმნას თვით ქალაქის ტერიტორიათ. ტერიტორია ქალაქისა ნიშნავს თანაბარი კატეგორიის მიწების ჯგუფს, რომელიც მდებარეობს ქალაქის ფარგლებში. თანამედროვე პირობებში, ხმარობენ ხოლმე ქალაქის ტერიტორიას და მას უთანასწორებენ, ეგრედ წოდებულ, ქალაქის მიწებს ე. ი. იმ მიწებს, რომელიც ეკუთვნის ამ თუ იმ ქალაქს კერძო საკუთრების სახით. მაგრამ ქალაქის ტერიტორიის და ქალაქის მიწების შორის არი განსხვავება, ასე რომ მათი გათანასწორება შეუძლებელია.

უმრავლეს შემთხვევებში, იმ დროს, როცა მუნიციპალიტეტებს ქალაქის ტერიტორიის ნაწილი ეკუთვნის, რასაკვირველია უმნიშვნელო, იმავე დროს მათ საკუთრებას წარმოადგენს ხოლმე მიწები, რომელიც ქალაქის განაპირას მდებარეობენ ე. ი. ქალაქის ხაზ გარეთ. კერძოთ, ქ. თფილისს უჭირავს 3.289 დესიატინა, აქედან ქალაქს, როგორც იურიდიულ პიროვნებას, 801 დეს. ეკუთვნის. ე. ი.  $\frac{1}{4}$  მთელი ქალაქის ტერიტორიისა. ამავე დროს თფილისის საკუთრებას შეადგენს 3.268 დ. მიწა, რომელიც ქალაქ გარედ მდებარეობს; ამ მიზნის მისაღწევათ, ტერიტორია, რომელიც დაკავებული აქვს ქალაქს, რომ შევიდეს ქალაქის ტერიტორიის შემადგენელობაში, აუცილებელათ უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული პრინციპი მიწის ხელუხლებლობისა.

მეორე მხრით, ქალაქი უნდა ეცადოს თავისი საკუთრება მუდმივ ზარდოს. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ქალაქები, რასაკვირველია გამრნაკლისით, ამ პრინციპს არ ემსახურებოდა და იქცეოდა სრულებით არა ისე, როგორც უკარნახებდა მათ ეს პრინციპი. მაგალითად, თბილისის ქალაქის საბჭომ 1905 წ. 2 მაისს დაადგინა, უარი ეთქვა მოიჯარადრეებისთვის, რომელნიც თხოულობენ ქალაქის მიწების შესყიდვის ნებას. ამავე საბჭომ 1906 წლის 3 მაისს გადაწყვიტა: „მიეცეს უფლება მოიჯარადრეებს გამოისყიდონ ქალაქის **სამოსახლო** მიწები ნაძალადევის და ლოტკის მთაზე; ამის შედეგი იყო, რომ მთელ რიცხვიდან ე. ი. 1491 საიჯარო ადგილიდან ნაძალადევის და ლოტკის მთისა, გადაწყვიტეს გაეყიდათ 1127 ნაკვეთი და 1917 წ. პირველ იანვრამდის გამოსყიდულ იქნა **408 ნაკვეთი** 42251 ოთხკ. საე. 302.459 მან. და 34 კ. ღირებულებისა.

ქალაქის მიწების ასეთმა გაფლანგვამ გამოიწვია დემოკრატიულ საბჭოში მეტად საყურადღებო საკითხი, რომ აუცილებელათ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში პრინციპი ქალაქის მიწების ხელუხლებლობისა. მიიღო რა მხედველობაში ეს ყოველივე თბილისის ქალაქის გამგეობამ, 1917 წლის 14 ეკენისთვის სხდომაზე დაადგინა: მიეყიდოს ქალაქის მიწები იმ ძველ მოიჯარადრეთ; რომლებმაც მოლაპარაკება მოახდინეს ქალაქის გამგეობასთან ამა წლის 1 კვირკობისთვის და, თუ ვინცობაა შემოვიდა ახალი თხოვნა ქალაქის მიწების შესყიდვის შესახებ, გადაცემულ იქნეს განსახილველად მიწის კომისიაში.



ამ დადგენილებით, ნება ეძლეოდათ მოიჯარადრეებს გამოესყიდათ ქალაქის მიწები იმ მოიჯარადრეებს, რომლებმაც მოასწრეს შეეტანათ განცხადება მიწის შესყიდვის შესახებ პირველ კვირკობისთვემდის და მოასწრეს ქალაქთან ერთგვარი მოლაპარაკება. რაც შეეხება იმ პირთ, რომლებმაც შემოიტანეს თხოვნა მიწის შესყიდვისა პირველ კვირკობისთვის მერმე ან და იმ მოიჯარადრეებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს მოეხდინათ ამის შესახებ ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკება, გადაეცემა მიწის კომისიის საბჭოს, რომელიც გადასწყვეტს ამ საკითხს. ამგვარი საქმის წარმოება მოგვცემს საშუალებას, რომ გატარებულ იქნეს პრინციპი ქალაქის მიწების ხელუხლებლობისა. ამ პრინციპის გარდა, მუნიციპალიტეტების მიწის პოლიტიკა უნდა სცდილობდეს შესძინოს ქალაქს მუნიციპალური მიწების სახით ის მიწები, რომელნიც მდებარეობენ ქალაქის საზღვრებზე.

რომ, ქალაქის თვითმართველობის ხელში მიწების გადასვლის პრინციპი მალე გატარდეს, აუცილებელია შემოღებულ იქნას 1) ბაჟი თვითმართველობის სასარგებლოთ ყველა შემთხვევაში, მაგალითად: გაყიდული იქნება იგი თუ ნაყიდი, ნაჩუქი თუ დატოვებული. 2) ბაჟი საერთო ფასებზე ე. ი. დაბეგვრა იმ მესაკუთრეებისა, რომელნიც სარგებლობენ იმით, რასაც აკეთებენ მუნაციაპალიტეტები, მაგალითად: ახალი ქუჩების გაყვანა, ქვაფენილის მოწყობა, ტრამვაის, ელექტრონის და სხვა და სხვა. ამასთან ერთად მუნიციპალიტეტებს უნდა მიეცეს ნება ყოველივე შემთხვევებში იყიდოს მიწა და შეეხოს იმ დაუშენებელ ან დაშენებულ სამოსახლოებს, რომელთაც ქალაქის თვითმართველობა იცნობს აუცილებელ საქიროებათ ქალაქის სასარგებლოთ.

რაც შეეხება დაუსახლებელ მიწებს კარგი იქნება, რომ მათ შესახებ, როგორც აგრარული საკითხის შესახებ, გამოტანილ იქნას პარლამენტში, კანონი. უნდა დადგენილ იქნას მაქსიმალური ნორმა დაუსახლებელ მიწების მფლობელობისა ქალაქის ფარგლებში. რაც შეეხება გადაარჩენილ მიწებს გადაცემულ იქნეს მუნიციპალიტეტების განკარგულებაში. ყოველივე ამის სისრულეში მოყვანა, მისცემს საშუალებას, რომ ქალაქის თვითმართველობამ თავის განკარგულებაში იქონიოს მიწები.

ამნაირათ მიწების ქალაქის თვითმართველობის ხელში, გადასვლას აქვს ის მნიშვნელობა, რომ ქალაქის მეურნეობა ფართოვდება და ისმება საკითხი მუნიციპალიტეტების მიწის პოლიტიკის კერძო მიზნისა. ამ კერძო საკითხთა შორის, ისმება საკითხი იმ ქალაქის მიწების გამოყენების შესახებ, რომელიც დაუშენებელია და არც შეიძლება იქნეს დაშენებული მოკლე ხანში.

ამ მიწების გამოყენება შეიძლება ორ ნაირად: ან ის უნდა გაცემულ იქნეს იჯარით, ან და მიღებულ იქნეს ქალაქის მეურნეობის ქვეშ. პირველი საშუალება არის ექსტენსიური მუნიციპალურ მეურნეობისა, რომელიც გამოსადევია, მოსამსახურე პერსონალებიც და ფინანსიური მხრით ხელმოკლე



მუნიციპალიტეტებისათვის. მეორე საშუალება კი არის ინტენსიური მეურნეობა, ანუ მეურნეობა რაციონალური, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ფინანსიურად და მოსამსახურე პირთა პერსონალით დამაკმაყოფილებელ თვითმართველობებისათვის. თბილისის ქალაქის თვითმართველობა, თავისი მიწის პოლიტიკაში, ადგა იმ გზასაც, როცა მიწის საქმე სწარმოებდა თვით ქალაქის სამეურნეო საშუალებით. ასე მაგალითად: 1875 წელს ქალაქის გამგეობამ ამ საგანზე გააკეთა სათანადო მოხსენება საბჭოში, მაგრამ საბჭომ მოხსენება უარყო. შემდეგ 1902 წელს ამ საკითხმა კვლავ წამოყო თავი ცხოვრებაშიც იწყო გატარება; მაგრამ დამარცხება განიცადა. საბჭოს მიწის განყოფილებამ კვლავ წამოაყენა ეს საკითხი უფრო რთულ სახით და შეაქვეს, მიწის კომისიაში განსახილველათ.

ამ მიზნით ქალაქის მიწები შეიძლება განაწილებულ იქნეს ოთხ კატეგორიად: 1) მიწები, რომლითაც ყველა სარგებლობს; მაგალითად ქუჩები, მოედნები, ბალები და სხვა და სხვა. 2) მიწები, რომელიც აკმაყოფილებს სახელმწიფოს და საზოგადოების მოთხოვნილებებს, როგორც არის, მაგალითად, საავადმყოფოები, სახელმწიფო შენობები, ყაზარმები და სხვა. 3) მიწები, რომელიც არის სამოსახლოთ გამოსადეგი ეგრეთ წოდებული საიჯარო მიწის ნაკვეთები და 4) სამეურნეო და სამრეწველო მიწები. აუცილებელია ამ მიწების შესახებ იქნეს დაწვრილებით ცნობები, როგორიცაა მაგალითად: მათი რაოდენობისა, საზღვრებისა, ადგილის მდებარეობისა, რელიეფისა, შემოსავლისა, მათი ჰაერის, მიწის, ეკონომიური და მატერიალური პირობებისა. ეს შემოსხენებული ცნობები არის ინვენტარული აღწერა ქალაქის მიწებისა, რომელსაც საფუძვლათ უძევს დაწვრილებითი ინვენტარული გეგმა. საუბედუროთ, ძლიერ ცოტა ქალაქებს აქვთ კარგათ შედგენილი ინვენტარი, თითქმის პეტროგრადმა და მოსკოვმა ვერ მოახერხეს ინვენტარის საქმის მოწყობა და მხოლოდ ვარშავს შეუძლია იამაყოს თავისი ინვენტარული აღწერით. მუნიციპალურ პოლიტიკის საკითხთა შორის უნდა აღინიშნოს საკითხი, იმ ნაკვეთ მიწების თავის დროზე მოწყობის შესახებ, რომელიც დანიშნულია სამოსახლოდ.

ი. ლ. ჩერქეზიშვილი.

### ულელტეხილის გზა \*).

საქართველოს ქალაქთა და ერობათა ყრილობაზე, ინჟ. პროსინსკიმ გააკეთა მოხსენება, დარგ - კობ - ქუთაისი - კოპიტნარის ულელტეხილი გზის

\*) რედაქცია ათავსებს ბუდაევსკის წერილს, რომ საშუალება მისცეს ჩვენ მკითხველებს, რათა გაერკვიოს დასმულ საკითხში. ი. პროსინსკის მოხსენება თითქმის ყველა დელეგატს დაუბრუნდა თბილისში ყოფნის დროს ყრილობაზე, სადაც თვით ინჟ. პროსინსკიმ გააკეთა მოხსენება თავის პროექტის შესახებ.

შესახებ, რომლის შემოსავალს ის აღნიშნავს 34% აქციონურ კაპიტალზე. ეს გზა იწყება სად. დარგ-კოხიდან (ვლადიკავკაის რკინის გზა) გადადის მდ. ურუხის ზემო ნაწილისკენ სოფ. სტირდიგორამდის; აქედან, გები-ვცეკის უღელტეხილის გვირაბში გაივლის; ამ უღელტეხილის სიმაღლე აღნიშნულია 11.382 ფუტით, რომელიც მუდამ დათარულია თოვლით. გვირაბი თავდება სოფ. გების ზევით. აქედან გზა მიდის მდ. რიონის ნაპირით. ეს არის გზა ონსა და ქუთაისს შუა. ქუთაისიდან კი საქართველოს რკინის გზით კოპიტნარში. გზის სიგრძე 260 ვერსია.

სანამ ამ გზის შესახებ დავიწყებთ ლაპარაკს, მოვიყვანოთ. პატარა ცნობა, ინჟ. გიოევი 1906 წ. 3 ივანობისთვის მოხსენებიდან, („იხილე კავკასიის განყოფილება, რუსეთის სატეხნიკო საზოგადოება“) ის ამბობს: ასეთმა რკინის გზის უღელტეხილით არხოტსკის შეუსაბამო გამოკვლევამ არ შეუშალა ხელი სულ ახალ-ახალ არა ნაკლებ შეუსაბამო გამოკვლევებს იმავე ქედით, მაგალითად: 1) რუდნიცკის გამოკვლევა, ელხოტოვო-როსტოვ-ვლადიკავკაის გზის ლიანდაგით, ჩრდილოეთით მდინარე ურუხის ხეობით, სამხრეთით მდინარე რიონის მთით, მამისონის უღელტეხილის ახლოს, ონზე და ქუთაისზე, შტოებით ონიდან - გორამდის და სხვა. ეხლა ინჟ. პროსინსკიმ მოგვიძღვნა ცოტათ გადახალისებული ინჟ. რუდნიცკის გამოკვლევა. გამოკვლევა მან ახალი სახით მოგვიძღვნა და ამით მიიქცია ყურადღება; მისი გეგმა მოკლეთ ასეთია; თავის წიგნაკში, ინჟ. პროსინსკი წლიურ საქონლის რაოდენობას ასე ირკვევს:

ნავთი გროზნიდან ფოთში . . . . .	100.000.000	ფ.
პური თერგის ოლქიდან . . . . .	35.000.000	„
ტყე . . . . .	9.000.000	„
შაქარი ფოთიდან თერგის ოლქში . . . . .	2.000.000	„
ბამბა ფოთისკენ . . . . .	15.000.000	„
თუთუნი, ღვინო, ხილი, ჩაი, ხორცი, მანუფაქტ. . . . .	4.000.000	„

**ს უ ლ . . . . . 165.000.000 „**

ამ საქონლებიდან, ინჟ. პროსინსკის გზით დარგ-კოხიდან ფოთში უნდა წავიდეს: ნავთი, პური, ტყე, ბამბა, თუთუნი, ღვინო და სხვა, სულ 161.000.000 ფუთი და დანარჩენი ე. ი. 4.000.000 ფუთი, ფოთიდან დარგ-კოხში. უპირველესად ყოვლისა დავითვალოთ, შეიძლება თუ არა წელიწადში გადატანილ იქნეს საქონელი ერთი მიმართულებით. ამ პროექტის მიხედვით, გზას შეუძლია გაუშვას 24 საათში 21 წყვილი მატარებელი. თუ სამგზავრო მატარებელს გაუშვებთ 2 წყვილს, სასაქონლო მატარებელზე დაჩება 19 წყვილი მატარებელი. ამაზე მეტს, გზა ვერ გაუშვებს. დაჭვირთულ ვაგონის სიმძიმეს ექნება 1200 ფუთი, (ამიერ კავკასიის რკინის გზაზე, 1913 წელში უუდიდესი სიმძიმე დაჭვირთულ ვაგონისა იყო 1127,38 ფუთი). თვით ვაგონის სიმძიმე არი 450 ფუთი, მაშასადამე საქონლის სიმძიმე, რომლითაც ვაგონ-

ნი უნდა დაიჭვიროს, უნდა იყოს 750 ფუთი. მდელიში ერთ ელექტრო-მავალს შეუძლია წაიყვანოს მატარებელი 27.000 ფუთის სიმძიმის, იმავე სიმძიმეს მთიან ალაგას, მოუნდება ორი ელექტრომავალი. მატარებელი შესდგება 23 ვაგონიდან, მისი სიმძიმე გამოიხატება  $23 \times 750 = 17250$  ფუთით. ერთ წელიწადში შეიძლება გადაზიდულ იქნეს  $17250 \times 365 \times 19 = 119.000.000$  ფუთი, და არა 161.000.000 ფუთი; ეს პირველი შეცდომა ინჟ. პროსინსკისა:

შემდეგ ინჟ. პროსინსკი ამბობს, რომ მისი გზით გაივლის 100.000.000 ფუთი გროზნოს ნავთი. მაგრამ, ჯერ ერთი, რომ ის ნავთი წავა ვლადიკავკავის რკ.-გზის ორთქმავალების გასათბობათ; მეორე, რატომ ფიქრობს ინჟ. პროსინსკი, რომ მისი გზის გაყვანის შემდეგ გროზნოს ნავთი გამოიცივლის თავის გზას და ფოთიდან (454 ვერსის მანძილია) საზღვარ გარეთ გაგზავნის მას, როდესაც მას ახლო უძევს პეტროვსკი—150 ვერ. საიდანაც ვოლგის საშუალებით წავა? წარმოიდგინეთ თვით ბაქოს ნავთის  $\frac{3}{4}$  გაიზიდა რუსეთში წყლის გზებით; ეს  $\frac{3}{4}$  ნავთისა შეადგენს 375.000.000 ფუთს.

შემდეგ, თერგის ოლქის პური წავა მთაგრეხილით არა ინჟ. პროსინსკის გზით ფოთში, არამედ ამიერ კავკასიაში, იმ უღელ-ტეხილით რომელიც აერთებს ჩრდილოეთ კავკასიას, ამიერ-კავკასიის ცენტრთან და არა განაპირა ფოთთან.

საკვირველი იქნებოდა, რომ ტყე თერგის ოლქიდან გადმოეზიდათ ამიერ-კავკასიაში, როდესაც ის აქაც მრავალი, მავალითად, ცხენის-წყალის, ინგურის და რიონის მიდამოებში. აქ მდინარეების საშუალებით ზიდვენ ერთ ადგილიდან მეორე ალაგას ტყეს, ასე რომ, თერგის ოლქის ტყეს, რომლის გადმოზიდვა ფუთი დაჯდება  $\frac{1}{30}$  კაპ. არ შეეძლება გაუწიოს კონკურენცია ადგილობრივ ტყეს.

ჩამოვაცილოთ ახლა ინჟ. პროსინსკის აღნუსხულ ნუსხას ყოველივე ეს და დავინახავთ, რომ მისი გზით 165.000.000 ფუთის მაგიერ, დარჩება გადასაზიდი 21.000.000 ფუთი, რომელიც, თუ ყველა ამ გზით წამოვიდა მოგვცემს შემდეგ შემოსავალს:  $21.000.000 \times (\frac{1}{30} \times 260 + 4) = 11.640.000$  მან. და არა 14.300.000 მან. ეს ნაკლებია 11.640.000 მან. და 5.135.000 მან. წმინდა შემოსავლის მაგიერ მივიღებთ ტრანსპორტიდან 6.505.000 მ. წაგებას. ასეთია ინჟ. პროსინსკის გზა.

რომ უღელტეხილი გზა აუცილებელია, ამაში არავითარი ეჭვი არ არის, მაგრამ როგორც ამბობს ინჟ. გიოევი „არა მოუხერხებელი პროექტით,“ არამედ სხვა გზით. ამ ხანად შემუშავებულია სამი პროექტი უღელტეხილ გზისა, რომელიც იქნება შესაერთებელი ჩრდილოეთ კავკასიის შუა ნაწილის და ამიერ-კავკასიის. მაგრამ ამ სამ პროექტში, ჩემის აზრით ყველაზე უფრო მისაღებია ინჟ. ავდეევის პროექტი. ამ პროექტით გზა იწყება ვლადიკავკავის რკინის გზის სად. დარგ-კოხიდან გადაივლის მდინარე რიონის ხემო ნაწილზე, გადაჭრის ალაგირს და გაივლის ჯომავის უღელტეხილის

ქვეშ, რომლის გვირაბი—35 ვ., შემდეგ მდინარე ლიხვის ხეობაში და გორში. ალაგირიდან, გზა გადაუხვევს ვლადიკავკავისკენ; ცხინვალიდან კო სამხრეთით თფილისისაკენ და ხაშურისაკენ. ჯავიდან (ცხინვალს ზემო) ონში, აქედან მდ. რიონის ნაპირით ქუთაისში და კოპიტნარში. მაღლობი, რომელიც მდებარებს დარგ-კოხ-გორი, ხაშური და თფილისის შუა; ერთ ელექტრომაგვალს შეუძლია გასწიოს 30.000 ფუთი, და ორ ელექტრომაგვალს კი 52.500 ფუთი, რომელიც იქნება დაჭვირთული 32.300 ფუთი საქონლით. ონი — ქუთაისის შტოს აქვს უმაღლესი მაღლობი 0.025 რად. 150° საყ., ერთ ელექტრომაგვალს შეუძლია გასწიოს 20.4000 ფუთი — დაჭვირთული 12.800 ფუთი საქონლით. ამ გზების გარდა, პროექტში არის, ნაჩვენები გზა ტბა ერცოდან საჩხერემდის.

ამნაირათ, ინჟ. პროსინსკის გზა აერთებს ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილს ფოთთან, ამავე დროს ჯამაგსკის გზა აერთებს რუსეთს — ამიერ-კავკასიასთან, სპარსეთთან და შემდეგ კი ინდოეთთან; შტო, ხაშურზე ბორჯომის ლიანდაგით შემდეგ ბორჯომი — ყარსი — ჯულფა, გადაჭრის სომხეთს და იქნება მეორე გზა ჯულფა — თავრიზე; შტო, ონი — ქუთაის — კოპიტნარი, შეაერთებს ჩრდილოეთს ფოთსთან, და გაივლის საქართველოში მჭიდროთ დასახლებულ ალაგებში, საჩხერისაკენ გაყვანილი შტო, მოგვცემს საშუალებას, რომ შავი ქვა იქნეს გატანილი ჩრდილოეთში, სადაც ის საჭიროებას მოითხოვს. ასეთია ჯომაგსკის გზის პერსპექტივა. არც ერთი უღელტეხილი გზა არ შეედრება ამ უკანასკნელს და ამიტომ კარგი იქნება გზა გაყვანილ იქნას უკანასკნელი გეგმით და არა ინჟ. პროსინსკის ან და ცენტრალური — როგორც აქვს ინჟ. კუჩინსკის, ან და ინჟენ. ვურცელის პროექტით.

ინჟ. ნ. ბუდაევიკი.

## მ რ ო ბ ა ჩ ე ე ნ შ ი.

მეფის თვითმპყრობელობამ განაპირა ქვეყნებისათვის და მათ შორის ამიერ-კავკასიისათვის ის მახინჯი, წოდებრიობაზე აგებული მაღალ ცენზიანი ერობაც კი არ გაიმეტა, რაც რუსეთში დიდი ხნის შემოღებული იყო; როგორც უკულტურო „ინოროდცებში“, მას შეუძლებლათ და შეუფერებლათ მიაჩნდა ჩვენში შემოეღო გინდაც ისეთი ძალზე შეზღუდული ერობა, რომლისათვისაც მისი აზრით ჩვენ არ ვიყავით სათანადოთ მომწიფებულ — მომზადებულნი.

ნამდვილი მიზეზი კი ჩვენში ერობის შემოუღებლობისა იყო ბიუროკრატიის შიში „ინოროდცების“ თვით მოქმედებისა;

ისტორია პირუთენელი და მიუდგომელი მსაჯულია; რევოლიუციამ ქვეყანას დაანახვა თუ ვინ იყო და ვინ არის უკულტურო, ვინ არის მოქა-



ლაქობრივი ცხოვრებისათვის მოუმზადებელი და ვინ პოლიტიკურათ გაწრთენილ—აღზრდილი. თვით ევროპისათვის ვასაოცარია ის დიადი ისტორიული მოვლენა, რომ ჩვენ თავიდან ავიცილეთ ქრონიკული სამოქალაქო სისხლის ღვრა, შედარებით ადვილათ და უმტკივნეულოთ თავზე გადავივლეთ ანარქია და ქვეყნის დამლუპავ-დამაქცევარი ბოლშევიზმი. რომ ნახევარი წლის განმავლობაში შევიძელით დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობა და განმტკიცება მეტად რთულ, დამაბრკოლებელ და ხელ-შემშლელ პირობებში.

რუსეთმა რევოლიუციის მწვევე გამოცდას ვერ გაუძლო, ისტორიას პოლიტიკური გამოცდა ვერ ჩააბარა, ანარქიის უფსკრულში გადიჩხა და ამ უამათაც სამოქალაქო ომის სისხლის ზღვაში იხიზა.

ქართველი ერი რომ მართლა უკულტურო. ყოფილიყო, მას რომ ხანგრძლივი ისტორიული მწარე გამოცდილებით შექენილი მოქალაქობრივობა და მდიდარი ისტორიული გამოცდილება არა ქონოდა, — ის თავის გულიდან ვერ წარმოშობდა ვერც სასიქადელო პოლიტიკურ ხელმძღვანელებს და ვერც გარიბალდებს; ქართველი ერი რომ სათანადო ისტორიული და მოქალაქობრივი გამოცდილებით აღჭურვილი არ ყოფილიყო, ის ვერ მოახერხებდა და ვერც შეიძლებდა მონური ბორკილების და მისი შემხუთავიციხე—სიმაგრეების დამსხვრევას და მის ალაგას დემოკრატიული სახელმწიფოს აგებას.

აქედან ჩვენ ის უტყუარი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დემოკრატიული ერობა საფეხებით შეეფერება და შეეგუება ჩვენი ხალხის ცხოვრებას, რომელიც წარსულით და აწმყოს აღზრდით დემოკრატიულ და რესპუბლიკანურ ქრს წარმოადგენს.

ერის ხმა—წარსულში,—მეფეების დროსაც, ღვთის ხმათ იყო აღიარებული, რომელსაც მეფენი სათანადო ანგარიშს უწევდენ.

ერობა, წარმოადგენს თვით ერის მართვა—გამგებლობას თავისი ეკონომიური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობაში. ერობა არის ისეთი ორგანიზაცია ხალხისა, რომელიც მიზნათ ისახავს თავის ეკონომიური ცხოვრების წარმატებას, მეურნეობის გაუმჯობესებას, საყოველთაო გათვითცნობიერების საშუალებით საერთო კულტურული დონეს ამაღლებას, და მით ხალხის კეთილ-დღეობის აღორძინებას.

როგორც ეკონომიური ორგანიზაცია ის მიზნათ ისახავს სახალხო მეურნეობის გაუმჯობესებას; ამ მიზნით ის იძენს და ხალხში ავრცელებს საუკეთესო და გაუმჯობესებულ სამეურნეო მანქანებს, აკეთებს გზებს და მით აადვილებს გაუმჯობესებული ტრანსპორტით მისვლას—მოსვლას, გადატან-გადმოტანას. მელიორაციის საშუალებით აპოხიერებს და აშრობს დასამუშავებელი ტერიტორიის გაფართოვებას და სხვა.

ამ ნაირათ ის, როგორც ინტენსიურათ, ისე ექსტენსიურათ, ანვითარებს სოფლის მეურნეობას, რაც საფუძველს წარმოადგენს ხალხის ეკონომიური და მით კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისას.



როგორც იურიდიული ორგანიზაცია, ერობა ზრუნავს ხალხის გათვით-  
ცნობიერებისათვის და კულტურული აღორძინებისათვის, როგორც იური-  
დიული პირი, იგივე ერობა ზრუნავს ხალხის ჯანმრთელობაზე: ამ მიზ-  
ნით ის ცდილობს ხალხის სანიტარულათ და გიგიენურათ წარმატებაზე,  
ექიმების მოწვევაზე, ქსენონების მოწყობასა და გამრავლებაზე და სხვა.

როგორც პოლიტიკური თვითმართველი ორგანიზაცია, ერობა წარ-  
მოადგენს ერთ მთავარ ბურჟუაზიანს, რომელზედაც დაყრდნობელია დემო-  
კრატიული სახელმწიფო; ის არის ფესვი, რომელიც კვებავს დემოკრატიუ-  
ლი რესპუბლიკის მთავარ ღეროს და მის ფართეთ გაშლილ ტოტებს;

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა და დემოკრატიის ეკონო-  
მიურ—პოლიტიკური სახელმწიფოებრივი თვითმართველობა შეუძლებელია,  
თუ ქალაქის თვითმართველობა და ერობა, რომლებზედაც ის არის დაყ-  
რდნობილი, თავის სიმაღლეზე არა დგანან და ჯეროვანათ არ არიან გან-  
ვითარებულ—გაძლიერებულნი.

დემოკრატიულ მართველობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს  
თვითმართველი ერთეულების არსებობა, ქალაქის თვითმართველობათა და  
ერობათა განმტკიცება. ამიტომაც იყო, რომ რევოლიუციის პირველი დღი-  
დგანვე რევოლიუციონური დემოკრატია ამ ორი საფუძვლის გადემოკრა-  
ტებას და დაწესებას შეეცადა. რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე ცენ-  
ზიანი თვითმართველობების ნაცვლათ დემოკრატიული თვითმართველობა-  
ნი დაწესდენ ჩვენში.

ხოლო ამათზე უფრო ადრე წარმოიშვენ ისეთი რევოლიუციონური  
ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ ერთ გვარ ავტონომიურ, თვით-  
მართველ, პოლიტიკურათ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს;

აღმასრულებელი კომიტეტები, გლეხთა, მუშათა და ჯარის კაცთა საბ-  
ჭოები აუცილებელი საფეხურები იყვენ ერობის შემოსაღებათ, რომლის  
როლსაც ისინი თამაშობდენ.

ამ საბჭოებიდან და კომიტეტებიდან გამოიქედენ ერთ მხრივ ახლათ  
ჩამოყალიბებული ერობები, მეორეს მხრივ ის დემოკრატიული მთლიანი  
სახელმწიფოებრივი თვითმართველობა, რომელმაც ყველა ისინი გააერთიან-  
ნა და ერთი მეორეზედ ორგანიზაციულათ გადააკავშირა.

სოფლის კომისიის ნახევარ წლის ანგარიშიდან ნათლათა სჩანს, რომ  
ერობა ყველაზე უფრო ადრე და მკვიდრათ სწორეთ იმ მაზრებში დამყა-  
რდა, სადაც უფრო მომზადებული იყო ხალხი და ანარქიასაც ადგილი არა  
ქონია; ხოლო იმ მაზრებში, სადაც ხალხის შეგნება შედარებით ნაკლებია,  
ან ანარქიისაგან იყო მოცული, იქ ან ჯერაც არ არის შემოღებული, ან  
სუსტია მისი მოქმედება.

ი. ირემაშვილი.

## სკოლის დემოკრატიზაცია \*).

სკოლის დემოკრატიზაციის პროცესი მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1) საყოველთაო სწავლა, როგორც უმეტრებასთან საბრძოლველი საშუალება, სახალხო განათლების ორგანიზაციის სისტემის დემოკრატიზაცია, რაც გულისხმობს მთელი ხალხის სულიერ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო სახალხო სკოლების დაარსებას; 2) სწავლის და სკოლის შინაგან ორგანიზაციის პრინციპებისა და მეთოდების დემოკრატიზაცია. ამ ორ მიმართულებათა სინტეზისაგან სკოლის დემოკრატიზაციის პროცესში გამომდინარეობს ორი ძირითადი მოთხოვნილება; იგი ამ ბოლო დროს გადაიქცა არა მარტო დასავლეთ ევროპის მთელი მასწავლებლობის მოთხოვნილებათა არამედ ფართო საზოგადოებრივ მიმდინარეობით, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია როგორც მეცნიერების წარმომადგენლების, ისე გამოჩენილ მოღვაწეთა. ეს არის მოთხოვნილება: 1) მთლიანი სკოლის და 2) შრომის სკოლის.

**მთლიანი სკოლის** პრინციპების დამცველები გამოდიან სახელმწიფოს წინაშე ყველა მოქალაქეთა **თანასწორობის** პრინციპიდან როგორც **უფლება**, ისე ვალდებულობის მიხედვით. აი რას ამბობს ამ საკითხის შესახებ კერცენშეინერი, პედაგოგი, თეორეტიკი და პრაქტიკი, ცნობილ საზოგადოებრივ-პედაგოგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი ერთის მხრივ და გერმანიის ბიუროკრატიის უფრო ლიბერალურ ნაწილის—მეორეს მხრივ, საზოგადო მოღვაწე და ბავარიის სახალხო განათლების დეპარტამენტის დირექტორი:

„ოფიციალური სახალხო სკოლა,—ორგანოა სახელმწიფო ორგანიზმისა, თავის ინტერესების დასაცავად. თანამედროვე სახელმწიფოს ცნებისაგან პირდაპირ გამომდინარეობს ყველა მოქალაქეთა თანასწორობა. როგორც თანამედროვე სახელმწიფოში არ არის და არც უნდა იყოს მოქალაქეთა ორი სხვა და სხვა კატეგორია, ისე არ უნდა არსებობდეს დაწყებით სკოლის ორი სხვა და სხვა კატეგორია: ხალხისთვის და შექმნილ მოქალაქეთათვის, სახელმწიფო ხარჯით არსებული დაწყებითი სკოლა უნდა აძლევდეს თანაბარ განათლებას, ყველა ბავშვს თანაბარ მომზადებას, განურჩევლათ წოდებისა და მშობელთა ნივთიერ მდგომარეობისა.

ღარიბ გლეხის, დღიური მუშის ან მზარეულის შვილი შემდეგში მოქალაქის იმ უფლებით და მოვალეობით იქნება აღჭურვილი, როგორითაც მდიდარი ინტელიგენტი მშობლების ან ვაჭრის შვილი. ამიტომაც სახელმწიფო მოვალეა მისცეს ისეთივე განათლება პირველს, როგორც მეორეს.

**მთლიანი სახალხო სკოლის** პროექტით ყველა მოქალაქეთა ბავშვებისათვის 6—დან 18 წლის ასაკამდის თუმცა შესაძლებელია დაყოფა, მაგრამ არა წოდებრივი და ეკონომიური, არამედ ა) მოწაფის ნიჭის და მი-

\*) დასასრული.

დრეკილების მიხედვით 10 წლის ასაკიდან და ბ) მის ბუნებრივ მოთხოვნილებების ამა თუ იმ სპეციალურ ხელობის და პროფესიის მიხედვით.

რაც შეეხება შრომის სკოლის პრინციპს, ეს საკითხი უფრო ფართე და სრულია, ვიდრე ამას თვით სახელი გვიჩვენებს; იგი შეიცავს მთელ რიგს პედაგოგიურ და სოციალურ პრინციპებისას და საზოგადოებრივ მიმდინარეობისას. საკითხი არსებითად შემდეგში გამოიხატება:

**1. შრომის სკოლა, როგორც სახალხო განათლების ორგანიზაციის პრინციპი.** ეს ნიშნავს—სკოლის ორგანიზაციის სისტემის და სკოლის განათლების შეფარდებას ცხოვრების მოთხოვნილებასთან და შრომის და მშობელთა ჯგუფის საჭიროებასთან. ეს ნიშნავს, სკოლის პროგრამების შემუშავების საჭიროებას ისე, რომ მან მოამზადოს მომავალი თაობა შრომისთვის და საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის, აღზარდოს იმისთანა მოქალაქენი, რომელთაც შეეძლებათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ—ეკონომიურ წარმოებაში, სადაც შრომის პირველი ადგილი უჭირავს; მათ უნდა შეეძლოთ შეგნებულათ და ნაყოფიერათ მოიხმარონ თავიანთი ღონე და შრომა.

**2. შრომის სკოლა—როგორც სწავლის მეთოდი და პრინციპი.** ეს ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე სკოლის სასწავლო მასალა დამყარებული უნდა იქნეს შრომაზედ და მოწაფის აქტიუბაზედ, მკიდროთ უნდა დაკავშირდეს ფიზიკური და გონებრივი შრომა, უნდა განმტკიცდეს კავშირი ტექნიკურ ხელგარჯილობის და საზოგადო განათლების საგნების შორის. შრომის პრინციპის მოხმარება სკოლაში, როგორც ხასიათის შემუშავების ფაქტორის აუცილებლობა, ეს ყველასათვის ცხადზედ უცხადესია. ეს საჭიროებანი თვით ცხოვრებამ წამოაყენა დასავლეთ ევროპაში, სადაც ახალი მიმდინარეობა მოითხოვს სკოლის და სახალხო განათლების დემოკრატიზაციას.

რუსეთში კი სკოლის დემოკრატიზაციის პროცესი სულ სხვა გზით ვითარდება, რაც აიხსნება ჩამორჩენილობით, კულტურულ და საზოგადოებრივ პროგრესის კუს ნაბიჯის საარულით და თვით ცხოვრების განსხვავებით.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში; სკოლის დემოკრატიზაციის პროცესი უნდა იქნეს გაცილებით უფრო ხანგრძლივი, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც სკოლის დემოკრატიზაციას 100 წლის ისტორია აქვს.

კატო ბ-ძე.

## შრომის ბირჟა რუსეთში.

რუსეთის შრომის ბირჟის ისტორია ჯერ კიდევ იმდენათ მოკლეა, რომ მასზე დაწვრილებით საუბარი ძალიან ადრეა.

ისეთი შრომის ბირჟა, რა სახითაც უნდა წარმოებდეს იგი, რევოლუციამდის არ ყოფილა. ეს რასაკვირველია, არ აიხსნება იმით, რომ მოთხოვნილება არ იყო.

მუშების მოთხოვნილების გამო, ზოგიერთი ქალაქთა თვითმართველობები შეუდგენ, მუშების დასაქირავებელ, სპეციალურ კანტორების ორგანიზაციას.

ამნაირი, — ქალაქთა თვითმართველობების მიერ დაარსებული კანტორები — აწარმოებდნენ, უმეტეს ნაწილათ, ხელზე მოსამსახურეების საქმეს. ასეთი კანტორები იყო დაარსებული 1901 წ. პეტრეს ქალაქში, 1902 წ. — ოდესაში, 1904 წ. — რიგაში და სხვა. სერიოზიული მნიშვნელობა ამ კანტორებს, რასაკვირველია, არ ქონდათ. აი ასეთი მდგომარეობა სუფევდა 1905 წლამდის; როდესაც მუშების რუსეთში გამარჯვებამ, მისცა მათ საშუალება, ოდნავ მაინც, განთავისუფლებულიყვნენ რეაქციის ბრჭყალებიდან.

იმ დროს წარმოშობილი პროფესიონალური კავშირები, შეუდგენ შრომის ბიუროს ორგანიზაციას. იყო ისეთი მომენტი, როცა შრომის ბიუროს მეფობდა ხოლმე შრომის ბაზარზე. მაგალითად: მოსკოვში, 1906 წელს თითქმის არც ერთ დამქირავებელს, ბეჭვდითი საქმეში, არ შეეძლო დაექირავებია რომელიმე მუშა, მბეჭვდავთა პროფესიონალური კავშირის შრომის ბიუროს დაუკითხავათ.

მწარმოებლებმა, შეამჩნიეს რა, თუ როგორი ენერგიით და ინტერესით ექცევიან მუშები, თავიანთ კავშირთან შრომის ბიუროს ორგანიზაციას თვით დაიწყეს ასეთი ბიუროების ორგანიზაცია. მაგალითად: პეტრეს ქალაქში, 1905 წელს, ქარხნების და ფაბრიკების საზოგადოებებმა მიზნათ დაისახეს მოეწყოთ თავიანთი საშუამავალო კანტორა.

1905 წლის მოძრაობამ მიიქცია ქალაქთა თვითმართველობების ყურადღება; მუშების მოთხოვნილების ზეგავლენით, ძალაუვნებურათ, ისინი დაინტერესდნენ მუშის საკითხით და მიაქციეს ყურადღება მუნიციპალური შრომის ბირჟების ორგანიზაციას.

1914 წლის ომის დაწყების დროს შრომის ბირჟის მოთხოვნილება უფრო გამწვავდა. უმუშევრები, რომელნიც ომამდის გაჩნდნენ, მოითხოვდნენ რამენაირათ მიეცათ მათთვის სამუშაო.

ასეთმა მდგომარეობამ წარმოშვა ქალაქებში და ბევრ სოფლებში შრომის ბირჟის დაარსება. ამ დროს გაება მთელ რუსეთში შრომის ბირჟის ქსელი. ის იმდენათ მრავალ-რიცხოვანი იყო, რომ არცერთ ევროპის სახელმწიფოში ამდენი შრომის ბირჟა არ მოიპოებოდა. ადამიანს ეგონებოდა, რომ რუსეთი უკვე შეიქნა მოწინავე სახელმწიფოთ, ასეთი მრავალ-რიცხოვანი მუშების ორგანიზაციების და შრომის ბირჟების დაარსებით. მაგრამ, ნაყოფი. სამწუხაროთ, სულ სხვა გამოვიდა. შრომის ბირჟები ისეთ ნაირათ აწარმოებენ საქმეს, რომ შეიძლება ჩაითვალოს უარყოფითი მუშა-



ობათ. მათი მუშაობა დაყენებული იყო ძლიერ ცუდათ, უსისტემოთ, არ იყო შეერთებული ერთ სახელმძღვანელო ორგანიზაციით და სხვა.

შრომის ბირჟებს არავითარი კავშირი არ ქონდათ დაქერილი მუშების მასასთან და ამის გამო ვერ შესძლეს უმუშევართა რიცხვის და მათი კატეგორიების აღნიშვნა. მიაქციეს რა ყურადღება, ყოველივე ამას, მუშათა ორგანიზაციებმა, მოითხოვეს მასში მონაწილეობის მიღება. მაგრამ მათი თხოვნა, რასაკვირველია, დაუკმაყოფილებელი დარჩა. მუშათა ორგანიზაციების საფუძვლიანმა მოთხოვნამ გამოიწვია ამ საკითხის გადაწყვეტა.

სწორეთ ომის დაწყების დროს, ერთ-ერთ თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების კომისიაში, რომელიც მუშაობდა ნ. დ. სოკოლოვის თავჯდომარეობით, პროფესიონ. და სხვა მუშათა ორგანიზ. მონაწილეობით, აგრეთვე დეპუტატების—ნ. ჩხეიძის, გ. პეტროვსკის, მ. სკობელევის, ვ. ხაუსტოვის და ა. ბადაევის მონაწილეობით იყო შემუშავებული ისეთი მოთხოვნილებანი, რომელთაც ისეთი ძალა უნდა ქონოდა, რომ დადებითი გავლენა მოეხდინათ ქალაქთა შრომის ბირჟის ორგანიზაციაში.

ამ საკითხის დეტალურათ გარჩევის შემდეგ, კომისიამ გადასწყვიტა მოაწყოს ბირჟის ორგანიზაცია პარიტეტულ საფუძველზე.

დაეცა თვითმყრობელობა, დაეცნ ის პირნიც, ვინც ხელს უშლიდენ მუშებს. მუშებმა თვით აღიეს თავის ხელში თავიანთი საქმე.

და აი, ამ მომენტიდან იწყება ორგანიზაციული და მრავალ მნიშვნელოვანი მოღვაწეობა მუშათა კლასისა.

მუშათა კლასის გამარჯვებას მოყვა მუშათა ბაზრის ორგანიზაცია. მრავალ ქალაქებში გაიხსნა შრომის ბირჟა; მათში მრავალი გაიხსნა პარიტეტულ საფუძველზე, მაგრამ, საუბედუროთ, არ იყო შემუშავებული მუშაობის საერთო გეგმა. არ იყვენ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთაც შესძლებოდათ შეერთებინათ და გაეერცვლებინათ ბირჟის მოღვაწეობა.

მხოლოდ 1917 წ. 19 აგვისტოს იყო გამოცემული, დროებითი მთავრობის მიერ, შრომათა ბირჟის დებულებანი. ამ დებულებით ევალეობოდათ ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებს მოეწყოთ შრომის ბირჟა იმ ქალაქებში, სადაც ირიცხებიან 50.000 მცხოვრებნი.

ამ დებულების მისედვით, შრომის ბირჟის გამგებლობა ევალეობოდა კომიტეტს, რომელშიაც შედიოდენ, ერთნაირ რიცხვით, ყველა პროფესიონალურ დაწესებულებების წარმომადგენლები. თავმჯდომარეს ამ კომიტეტში ირჩევდა ქალაქის საბჭო ან და ერობათა დაწესებულებანი. შრომის ბირჟის ხარჯი ეკისრებოდა ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებს. შრომათა ბირჟების შემაერთებელ ორგანოთ ინიშნება ერთი მთავარი შრომის ბირჟა. ამ დებულებათა გამოქვეყნების შემდეგ ყველგან შეუდგენ ქალაქთა და ერობათა შრომის ბირჟის ორგანიზაციას.

სამწუხაროთ შრომათა ბირჟის მოღვაწეობის ცნობები ხელთ არ გვაქვს, ხოლო, ეს კი შეიძლება ითქვას, რომ მათი მუშაობა წარმოების



პირველ საფეხურზე იდგა და ვერც შესძლეს დაეჭირათ სათანადო ალავი. ამას ხელს უშლიდა კიდევ ის, რომ ამავე დროს სუფევდა სარეკომენდაციო კანტორები, სხვა და სხვა შრომის ბიუროები სხვა და სხვა კავშირებთან და საზოგადოებებთან.

ასეთ საქმის მდგომარეობას, არ შეიძლებოდა არ ქონოდა ზეგავლენა შრომის ბირჟის მუშაობაზე. საქმე იყო ახალი და მოითხოვდა შრომას.

დადებითი და დამაკმაყოფილებელ მუშაობისათვის აუცილებელი იყო სათანადო პირობები.

რაც უფრო მკვიდრი დამოკიდებულება აქვთ ხოლმე შრომის ბირჟებს ერთმანეთთან მით უმეტეს ვითარდება მათი მუშაობა და მიზანსაც აღწევს.

1917 წლის კვირიკობისთვეში, ბოლშევიკების გამოსვლებმა დანგრე-  
ვითი გავლენა იქონია, როგორც თვით რუსეთზე ისე კერძოთ შრომის ბირ-  
ჟებზე. შრომის ბირჟები მუშაობდნენ განკერძოებულათ სხვა ბირჟებისაგან  
და ამან, რასაკვირველია, გამოიწვია საქმის დაქვეითება.

შრომის ბირჟა არის ნაყოფი მუშათა კლასის განვითარების. შრომის  
ბირჟა აერთებს მუშათა კლასს და ქმნის სასიამოვნო პირობებს დადებითი  
მუშაობისთვის, ამისათვის მას დიდი მომავალი აქვს.

ნ. გიკი.

## აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ერილობა.

აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა  
გაიხსნა 5 იანვარს და დასრულდა 8-ს. ყრილობამ განიხილა 15-დღე სხვა  
და სხვა საკითხი, რომელზედაც მოხსენებებს აკეთებდა კავშირის მთავარი  
გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბურჯანაძე.

სხვა საკითხთა შორის კრებამ განიხილა საკითხი, „ერობა და მასწავ-  
ლებელთა კავშირი“. ყველა დასმულ საკითხებზე წაკითხულ მოხსენების  
შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი დადგენილებანი. მოგვყავს ზოგიერთი:  
1) გადაიდოს ომში დახოცილ და დაჭრილ მეომართ, ოჯახების სასარგებლოდ  
კავშირის საშუალებიდან. 700 მ., 2) გამოეცხადოს სრული ნდობა საქარ-  
თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და აღეთქვას კავშირის  
მხრით ყოველგვარი დახმარება, როგორც გარეშე ისე შინაურ მტერთან  
ბრძოლაში, 3) დაევალოს ახლად არჩეულ გამგეობას განმეორებით აღძრას  
შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და ყოველგვარი ზომები მიიღოს, რათა  
დაეთმოს კავშირს ერთ-ერთი თავისუფალი სახელმწიფო შენობა მასწავლე-  
ბელთა სახლად, თან იზრუნოს (გამგეობამ) სახლის ფონდის გასაძლიერებ-  
ლად ფულების შეკრებით. 4) პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“ ამიე-  
რიდან გახდეს კავშირის ორგანოდ ჟურნალის გამოწერა სავალდებულო

იქნას ყველა სკოლისა და მასწავლებლისთვის, არჩეულ იქნას სარედაქციო კოლეგიაში ორი წევრი გამგეობის შემადგენლობიდან. 5) დაწესდეს ამიერიდან ნაცვლად 3 მ—თისა 10 მანეთი საწევრო გადასახადი 6) მოწვეულ იქნას სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა აღდგომის უქმეებზე, ყრილობის მოწვევა დაევალოს გამგეობის პრეზიდიუმს და განსაკ. დამხ. კომისიას (ფ. მგელაძე, პ. წირქვაძე, ი. პეტროვი თ. ყაზახიშვილი;) 7) მიღებულ იქნას ბ-ნ ვ. ბურჯანაძის მოხსენების ყველა მუხლები (ერობა და მასწავლებელთა ორგანიზაციები) მასწავლებელთა კავშირის სახელმძღვანელოთ და დაევალოს ფილიალებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ერობათა მუშაობაში სახალხო განათლების შესახებ. აი ეს მუხლები: 1) რომ უფრო ნაყოფიერი შინაარსიანი და პრაქტიკული იქნეს სახალხო განათლების საქმის ორგანიზაცია აუცილებლად საჭიროა ამ დარგში, ისე, როგორც სხვა დარგებშიაც, ერობათა ერთეულების შეკავშირება და ორგანიზაციული მუშაობის გაჩაღება. ფაქტიურად ჩვენ სკოლა, არა გვაქვს, ვინაიდან არა გვყავს ჯეროვნად მომზადებული მასწავლებლები და არც თვით მასწავლებლების მომზადებლები. მას ნათლათ ამტკიცებს დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სინამდვილე და მრავალი ფაქტები. არის სკოლები და მასწავლებლები არა გვყავს. ამისათვის უპირველესი ყურადღება ერობებმა უნდა მიაქციონ ამ საკითხს, ე. ი. სკოლების ხელმძღვანელობის და ინსტრუქტორების მომზადებას, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა მოკლე ვადიანი კურსების დაარსება, ამ კურსებზე ხელმძღვანელებლად უნდა მოწვეულ იქნან ერობის საკითხთან გაცნობილი და საქმოდ მომზადებული პირები. ამავე კურსებზე მოწვეულმა პირებმა უნდა წაუკითხონ სისტემატიური ხასიათის ლექციები დაახლოვებით შემდეგ თემებზე.

1) ძირითადი საკითხები სასკოლო ინსტრუქტორთა საქმისა.

2) პედაგოგიკის საფუძვლები და სახალხო სკოლის ორგანიზაცია ახალნიადაგზე.

3) სკოლის დემოკრატიზაცია.

4) ფსიხიოლოგია.

5) მასწავლებლის მართვა-გამგებლობა.

6) ფიზიკური აღზრდის საფუძვლები.

7) სასკოლო გიგიენა.

8) მეთოდი და პრინციპები სწავლებისა: სამშობლო ენის არითმეტიკის, ბუნების მეტყველობის (პრაქტიკული მეცადინობა ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში ისტორიის, გეოგრაფიის). 9) სასკოლო მუზეუმი და საექსკურსიო საქმე. 10) სასკოლო ბიბლიოთეკა. 11) სასკოლო კანონმდებლობა და სკოლის ორგანიზაცია ჩვენში და საზღვარ გარეთ. 12) ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა სახალხო განათლებისა ერობებში და ქალაქებში. 13) ერობათა თვითმართველობების საფუძვლები. 14) სასკოლო მეურნეობა. 15) სახალხო განათლების სტატისტიკის ორგანიზაცია, 16)

საპროფესიო განათლება. 17) ახალი მიმდინარეობა თანამედროვე პედაგოგიაში. 18) სკოლის გარეშე განათლება და სხვა...

ამ წესით დროებით კურსებზე მომზადებულნი ინსტრუქტორები ინიშნებიან სხვა და სხვა ერობათა ერთეულებში და საერთო გეგმის თანახმად აწარმოებენ სკოლების მართვა-გამგეობას.

სკოლის შენების დროს, რომელსაც ეხლა იწყებს ჩვენი ნორჩი ერობა, მართებს აქტიური მოქმედება ორგანიზაციულად შეკავშირებულ მასწავლებლობას, რისთვისაც მასწავლებელთა კავშირის ფილიალი განყოფილებები მთავარ გამგეობითურთ შედიან ერობათა ერთეულებთან დაარსებულ სასკოლო კომიტეტებში თავიანთი წარმომადგენლების სახით. ასეთი სასკოლო კომიტეტები არსდება: ცენტრალური კომიტეტი ერობათა კავშირის ცენტრალურ ბიუროსთან ქ. თბილისში; ამ ცენტრალურ კომიტეტში წარმომადგენლებს ირჩევს: 1) სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატთა ყრილობა (წარმომადგენელთა რიცხვს განსაზღვრავს თვით ერობათა კავშირის ცენტრალი ბიურო). 2) ერობათა კავშირის ცენტრალი ბიურო (ხმოსანთავან). 3) კომიტეტში შედიან გადამწყვეტის ხმით მთავარი ინსტრუქტორი სახალხო განათლებისა, მოწვეული ცენტრალი ბიუროს მიერ 4) ტეხნიკი, 5) ექიმი და სკოლის გარეშე განათლების მთავარი ინსტრუქტორი.

ცენტრალი სასკოლო ბიუროს მოვალეობას შეადგენს: 1) სახალხო განათლების სტატისტიკის ორგანიზაცია, 2) საყოველთაო სავალდებულო სწავლის ქსელის შედგენა, 3) სკოლის ტიპის გეგმის შემუშავება 4) სკოლის შენობის გეგმის შედგენა, ცენტრალი მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსება, 6) სასკოლო პროგრამების შემუშავება, 7) ხელსაწყო და სათვალსაზირო ნივთების სახელოსნოს მოწყობა, 8) ცენტრალური წიგნთა და სასწავლო ნივთების საწყობის დაარსება, 9) სახელმძღვანელო წიგნების გადათვალთვლიერება, შედგენა და გამოცემა, 10) საკუთარი ცენტრალური საკაზმაეი სახელოსნოს შექმნა, 11) პედაგოგიური ორგანოს გამოცემა, 12) ინსტრუქტორების მომზადება, 13) სკოლის გარეშე განათლების ფართო ნიადაგზე დაყენება 14) სამაზრო და წვრილ ერთეულებთან მჭიდრო კავშირის დაკავება სახალხო განათლების სფეროში.

სამაზრო ერთეულის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებულ, სამაზრო სასკოლო კომიტეტში შედიან: 1) მაზრის მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენლები, (წარმომადგენელთა რიცხვს განსაზღვრავს თვით სამაზრო ერთეულის გამგეობა),—2) თვით სამაზრო ერთეულის წარმომადგენელი, 3) ექიმი, 4) ტეხნიკი, 5) სკოლის გარეშე განათლების ინსტრუქტორი, 6) სამაზრო ინსტრუქტორი.

სამაზრო სასკოლო კომიტეტი 1) ადგენს სარჯთაღრიცხვას, 2) არჩევს ინსტრუქტორების მოხსენებას სკოლებში სწავლა-აღზრდის დაყენების შესახებ, 3) ნიშნავს და ითხოვს მასწავლებლებს, 4) აწარმოებს სახალხო განათლების სტატისტიკას მაზრაში, 5) ადგენს საყოველთაო სწავლის გეგ-

მას მაზრაში, ერთი სიტყვით ფაქტიურად განაგებს სასკოლო საქმეს მაზრაში..

საერობო წვრილ ერთეულების აღმასრულებელ ორგანოსთან ასეთივე წესით არსდება სასკოლო კომიტეტი. ამ კომიტეტში შედიან: 1) ადგილობრივი მასწავლებელთა ორგანიზაციის წარმომადგენელი (რაცხვს თვით ერთეულის აღმასრულებელი ორგანო განსაზღვრავს) 2) წვრილი ერთეულის წარმომადგენელი, 3) ექიმი წვრილი ერთეულის. სასკოლო კომიტეტი განაგებს ფაქტიურად თავის რაიონში არსებულ სკოლებს და საზოგადოდ სახალხო განათლების საქმეს.

საქმის უფრო ჯეროვან ნიადაგზე დასაყენებლად ერობათა ცენტრალურ ბიუროსთან დაარსებული სასკოლო კომიტეტი გამოყოფს თავის წრიდან: 1) პედაგოგიურ კომისიას, რომელიც აწარმოებს და ხელმძღვანელობს განსაკუთრებით სწავლა-აღზრდის შესახებ საქმეებს, საკითხებს, და პედაგოგიურ ორგანოს, ამიერ კავკასიის პედ. მუზეუმის მიღება და ხელმძღვანელობა, 2) სკოლის გარეშე განათლების კომისიას, რომელიც ზრუნავს განსაკუთრებით სკოლის გარეშე დარჩენილ მოზარდ თაობის და მოზრდილთა გონებრივ განვითარებაზე მოძრავი საკვირაო სკოლების, სახალხო კითხვების, ლექციების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოწყობისა და დაარსების საშუალებით სააღმშენებლო კომისიას, რომელიც განაგებს სპეციალურად სკოლების შენობების საქმეს, და მათ გიგიენურად მოწყობას.

ასეთი ორგანიზაცია ეკვი არ უნდა მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს სახალხო განათლების საქმეს, თუ მასწავლებელთა კავშირი გამოიჩინეს მხნეობას და სისტემატიურ დახმარებას გაუწევს თავისი აქტიური მოქმედებით ერობათა თვითმართველობებს და ამით გაამაგრებს და განამტკიცებს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ფუძეს.

NN.

## ფინანსიური შეღავათი ერობებს და ქალაქებს.

ერთ-ერთი საგრძნობელი შედეგთაგანი, რომლითაც უხვათ დაგვაჯილდოვა მსოფლიო ომმა, არი ფინანსიური მდგომარეობის ღრმით და საგრძნობლად დაშლა. უმთავრესათ, ასეთი ფინანსიური დაშლა, წილათ ხვდა იმ ქვეყნებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ამ მსოფლიო ომში, როგორც აქტიურმა ერთეულებმა; ის ნეიტრალური სახელმწიფოები, რომელნიც უნებურათ იყვენ ჩარეულნი ამ მსოფლიო ომში, არ შეიძლებოდა მათაც არ შეხებოდა მსოფლიო ფინანსიური და ეკონომიური ტალღები, მაგრამ ისინი უფრო ნაკლებათ დაშავდენ.

ასეთივე მძიმე მდგომარეობა, ხვდა წილათ, ჩვენ საზოგადოებრივ თვითმართველობებს—ერობებს და ქალაქებს. ომის დახმარების საქმის ორგანიზაცია, მცხოვრებთათვის სურსათის საქმის მოწყობა, ლტოლვილების თვალ-ყურის დევნა და სხვა გადაუდებელი საქმეები, მოითხოვდენ არა



მარტო ენერჯიას და იდეალურათ საქმეზე მინდობილობას, არამედ მოითხოვდა აუარებელ ხარჯს, რომლებმაც მალე და სრულებით დააცალიერა ადგილობრივი სალაროები.

შეუცთომლათ შეიძლება ითქვას, რომ ეხლა არც-ერთი ქალაქი, არც-ერთი ერობა არ არი უდენფიციტოთ, რომლის რაოდენობა გამოიხატება იმ სიმძიმის მიხედულებით, რომელიც მან ამ ორ, სამ წელიწადში გადიტანა. და, თუ კი დიდი ქალაქები—თბილისი,\*) ქუთაისი, ფოთი, თავიანთ ვალებს მილიონებით ითვლიან, პატარა ქალბქებიც თავიანთ ვალებს ასი ათასობით ითვლიან.

არა უკეთეს მდგომარეობაშია ერობების სალაროები; გარდა იმ ხარჯებისა, რომელიც მოუვიდათ მათ ომის დროს, სხვა მხრითაც იყო შევიწროვებული მათი ფინანსიური მხარე.

ჩვენმა ახალგაზდა ერობამ, ასეთი მდგომარეობაში უნდა დაიწყოს მუშაობა როცა ნალდი ფულის მიღების მაგიერ, უნდა მიიღოს სია შემოუტანელი ბაჟისა, იმ აღრინდელ ორგანოსაგან, რომელიც ამ ბაჟის შეკრებას აწარმოებდა.

უფრო ხშირათ ერობები და ქალაქები, მიმართავენ ხოლმე მთავრობას საშვალების აღმოსაჩენათ, მაგრამ დროებითი ფინანსიური დაბრკოლების გამო, რომელსაც მთავრობა განიცდის, ღირსეულ დახმარებას ვერ უჩენს, ქალაქები რომ ასეთი ფინანსიური მდგომარეობიდან გამოვიდნ და ერობების ახალი საქმის ორგანიზაციის საქმე კარგათ წავიდეს, მთავრობამ აირჩია ერთი გზა: გადადებულ იქნეს მათთვის რამოდენიმე პროცენტი სახელმწიფოს ზოგიერთ შემოსავლიდან. ასე მაგალითად: მიწის შემოსავლის ერთდროული ბაჟი გამოანგარიშებულია 1919 წლისთვის 75 მილიონი მ-თი. დადგენილია, ერობის სასარგებლოთ გადადებული იქნეს 20%, რაც შეადგენს 15 მილიონ მანეთს. ღვინის აქციზიდან—გადადებულ უნდა იქნეს 15%, ერობების სასარგებლოთ და 5% ქალაქების სასარგებლოთ, რაიც ქალაქ თბილისის მისცემს 1919 წელში 3 მილიონ მანეთზე მეტს. ქალაქების უძრავი ქონების ბაჟიდან 1919 წლისთვის გადადებულია 20%, კერძო შემოსავლიდან 4%, მიდის ერობათა განკარგულებაში. გარდა ამისა მთავრობის მიერ დაკმაყოფილებული იყო თხოვნა ქალაქების და ერობებისა, რომ მათ სასარგებლოთ ბაჟი დადებულიყო ფურცელ თუთუნზე.

ასეთ ზომებს აქვთ დროებითი სახე და ერთგვარი არევიდარევა შეაქვთ საერთო ბაჟის სისტემაში.

ერთ-ერთი გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან იქნებოდა ქალაქების და ერობების უფლების გაფართოება ბაჟის აკრეფის სფეროში, იმ ზომამდის რამდენიც ქალაქს და ერობას სჭირდება, და სწორი განაწილება სახელმწიფოს, ერობის და ქალაქის გადასახადებისა. ეს საკითხი საქაროა,

\*) თბილისის ვალი აღემატება 10 მილ. მანეთს.



რისთვისაც საჭიროა ამორჩეულ იქნეს საგანგებო სპეციალური კოლეგია იმ სამ დაინტერესებულ ჯგუფიდან, რომელთაც დაევალებათ განიხილონ ეს საბაჟო საქმე და მათი გადაწყვეტილება ჩაიწეროს კანონდებითი აქტით. ეს სწორეთ ეხლათ საჭირო, როცა ქალაქების, ერობების და ფინანსიური საქმეც ჯერ კიდევ არ არი ისე ცუდ მდგომარეობაში.

## ქ რ ო ნ ი კ ა .

### ქალაქთა თვითმმართველობაში.

**სახალხო უნივერსიტეტის შუამდგომლობა.** თბილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ მიმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, ცენტრალ სახალხო უნივერსიტეტს შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ქალიქის გამგეობამ ეს შუამდგომლობა საბჭოს საბიუჯეტო კომისიას გადასცა.

✱ **ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა** კავშირის აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას, რათა ქალაქის გამგეობაში ნაციონალიზაცია ერთის წლით გადაიდოს და იმ მოსამსახურეთათვის, რომელნიც სურვილს გამოაცხადებენ ქართულ ენის შესწავლისას, მათთვის გამგეობამ დაარსოს ქართული ენის კურსები. თუ ახლავე ნაციონალიზაციისა გამო ვინმე მოსამსახურეთაგანი შტატს გარეთ დარჩება მათ დაენიშნოს პენსია ნამსახურობის წლოვანობის გვარად.

✱ **მუშების ჯამაგირი.** ქალაქის გამგეობამ პირველ იანვრიდან გაუდიდა ჯამაგირები ქალაქის ტყის საწყობის მუშებს, რომელიც იმყოფება მე 300-სე ვერსზე, ხუთას მანეთამდის თვეში.

✱ **საჩუქარი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ომში დახოცილ სახალხო გვარდიელების ოგანეს მირაეიანცის და ივ. კანდაშვილის, ოჯახებს დახმარების სახით მიეცეს თვითთულს ათასი მანეთი.

✱ **დახმარება ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას.** მთავრობამ დაადგინა დახმარების სახით, ქუთაისის ქალაქს თვითმმართველობას, მიეცეს 100.000 მანეთი.

✱ **ქიათურის ქალაქის გამგეობა.** ქიათურის საქმე გაუმჯობესდა: ქალაქის საბჭომ მთავრობას დააკანონებინა ყოველ ფუთ გადატანილ შავქვაზე გადასახადი 1 კაპ. ქალაქის სასარგებლოთ.

ქალაქმა შეიძინა ქალაქთა კავშირისაგან მთავრობის დახმარებით საავათმყოფოს მოწყობილობა ასი საწოლით და აფთიაქის დიდძალი წამლები თავისი მოწყობილობით და გახსნა აფთიაქი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს, როგორც ქიათურის მოქალაქეთ ისე ქიათურის რაიონის მცხოვრებთ. აფთიაქში მოიპოვება ყოველგვარი ხარისხის წამლები და თა-

ნაც შედარებით კარგი დამზადებული და იაფ ფასებში, ვინემ ეს კერძო აფთიაქში არი. ქალაქმა გახსნა პირველი პარალელური კლასი, ქიათურის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლისა უფასოთ, სადაც სწავლობს 40 მოწაფე. ქალაქმა შექმნა საგანგებო სასანიტარო კომისია, რომელმაც თავისი ენერგიული მუშაობით ქალაქს ააციდინი წარსულ ზაფხულში უღმობელი სენი. ქალაქმა შეიძინა რამოდენიმე თვის საყოფი პური, რომელსაც ყიდის გირვანქას 1 მან. 10 კაპ. პური ეძლევათ სულზე გირვანქა. ქალაქმა მოახერხა და მოიტანა მცხოვრებთათვის შეშა. სანამ ქალაქი შეშას მოიტანდა, ბაზარზე შეშა ურემი ფასოფდა 80—100 მანეთამდის. ამის შემდეგ ფასებმა ბაზარზე დაიკლო 50—70 მანეთამდე.

ამას გარდა ქალაქმა შეიძინა 50 ცალი ახალი ტელეფონის აპარატები, რომელიც ახლო მომავალში გაკეთდება. აი, მოკლეთ ის ნამუშევარი, რომელიც ქალაქმა ღარიბი კასით ერთი წლის განმავლობაში გააკეთა. შესრულდა ერთი წელი ქალაქის მოღვაწეობის და ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ: მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, საძირკველი ჩაყრილია და კედლების აშენება—უფრო ადვილი საქმეა.

✻ **მიწების გაყიდვის შეზღუდვის კანონი მთავრობაში.** მიწადმოკმელების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, ქალაქში მიწების გაყიდვის და დაგირაავების შეზღუდვის შესახებ, მთავრობამ მოიწონა.

✻ **ოზურგეთის ქალაქის საბჭომ დაადგინა:** ვაჟთა გიმნაზია და საეპარქიო პროგიმნაზია შეერთდეს და გადაკეთდეს ერთ სავაჟო გიმნაზიათ.

✻ **ოზურგეთის ქალაქის საბჭომ იქონია რა მსჯელობა** დუქნების დამქირავებელთა განცხადებაზე, რათა დაწესებულ იქნეს ნორმალური ქირა სავაჟრო შენობებზე, დაადგინა: შესდგეს კომისია, რომელშიაც უნდა შედიოდეს როგორც ბინის დამქირავებელი, ისე მისი მეპატრონე და ქალაქიდან გამგეობის წევრი, რომელიც გამოიმუშავებს საზოგადოთ ბინებზე ნორმალურ ქირებს.

✻ **ოზურგეთის ქალაქის საბჭომ, ქალაქის გამგეობას დაავალა** შეისყიდოს სიმონ ქიქოძის მემკვიდრეების ადგილი, მდებარე ქალ. ოზურგეთში აკაკი წერეთლის ქუჩაზე სობოროს გვერდით, ფასათ არა უმეტეს 20.000 მანეთისა. ხსენებული ფული უნდა მიეცეს იმ თანხიდან, რომელიც ქალაქმა უნდა მიიღოს ხაზინიდან დახმარების სახით.

## ქ ა ლ ა მ თ ა ქ ა ვ შ ი რ შ ი .

✻ ჩვენი ჟურნალის უკანასკნელი ნომერში აღნიშნული იყო, რომ ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ შეიმუშავა მოძრავი სახალხო უნივერსიტეტის ორგანიზაციის პროექტი და წარადგინა თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა სექციაში გასარ-

ჩვეათ. ეს პროექტი ქართველ ლექტორთა სექციამ გაარჩია და ერთხმით მოიწონა ამ პროექტში აღნიშნული გეგმით სახალხო უნივერსიტეტის მოწყობა. ლექტორთა სექციამ ამ პროექტის ცხოვრებაში გატარება და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა მის განსახორციელებლათ მიანდო კომისიას, რომელშიაც შედიან პროექტის ავტორი ს. რობაქიძე, გ. ი. ნათაძე, ს. ს. ჟორჯოლიანი და ვ. ბაქრაძე.

კომისია უკვე შეუდგა პროექტის ცხოვრებაში გატარებას, რისთვისაც მალე პარლამენტში წარდგენილი იქნება შესაფერი კანონ-პროექტი და ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება მოძრავი უნივერსიტეტის მოქმედების დაწყება.

ლექტორთა ჯგუფმა ამასთანავე გადასწყვიტა გაგზავნოს საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქებში თავის ორი წარმომადგენელი, რათა ამ უკანასკნელმა ადგილობრივ ჩაუყარონ საძირკველი სახალხო უნივერსიტეტების მოწყობას და მოძრავი უნივერსიტეტის მოქმედებისათვის მოამზადოს ნიადაგი ადგილობრივ.

✳ თბილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის წინაშე შესახებ 15,000 მანეთის სესხისა. თავის შუამდგომლობაში გამგეობა აღნიშნავს თბილისის სახალხო უნივერსიტეტის უმწეო მდგომარეობას და სთხოვს მთავარ კომიტეტს სამი თვის ვადით ასესხოს მას 15,000 მანეთი, რათა უნივერსიტეტმა შესძლოს თავის მოქმედების გაგრძელება.

✳ ქალაქთა კავშირის სახალხო განყოფილებას უკვე მზათ აქვს რვეულები სკოლებისათვის. ქალაქის თვითმართველობებს შეუძლიათ გამოიწვიონ ეს რვეულები კავშირის სახალხო განყოფილებიდან. ცალი რვეული ეღირება არა უმეტეს 40 კაპეკისა. რვეულებია სამგვარი: პირველი, მეორე და მესამე საფეხურის, ქართული წერისათვის.

ქალაქთა კავშირმა, ქალაქის გამგეობას გადასცა ჯარისათვის დამზადებული საავადმყოფო 400 საწოლით სახადიან მოქალაქეთა მოსათავსებლათ. ეს საავადმყოფო იმყოფება ნავთლულში.

### მარჯათა თვითმართველობებში.

ადგილობრივი ადმინისტრაციის რეორგანიზაცია. თბილისის ერობის გამგეობა ფიქრობს მოახდინოს ადგილობრივი ადმინისტრაციის რეორგანიზაცია. რვა რაიონის მაგიერ განზრახულია მოაწყოს 10—11-დის. სარაიონო კომისიების მოვალეობა იქნება დაცული. სასოფლო კომისიების ინსტიტუტი იქნება გაბათილებული.

ფიქრობენ გაუდიდონ ჯამაგირები სამაზრო მილიციონერებს და ადმინისტრაციას.

✱ **საეპიდემიო რაზმები.** თბილისის სამაზრო ერობის გამგეობა განაგრძობს თავის მაზრის რაიონებში, ეპიდემიასთან მებრძოლ საეპიდემიო რაზმების გზავნას. საეპიმო საშუალებით და წამლებით, მცხოვრებნი სარგებლობენ უფასოთ. გლეხობა დიდის ალტაცებით ხვდება ასეთ რაზმებს და რაზმის მოსამსახურეებს სათანადო დახმარებას აძლევს.

✱ **თბილისის ერობის ბიუჯეტი.** ერობის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ წინადადება მისცა ერობის გამგეობას, რომ გადაეცეს მას, ამ მოკლე დროში, განსახილველათ 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

✱ **ქალაქი თბილისი და თბილისის სამაზრო ერობა.** თბილისის სამაზრო ერობა და ერობის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ირკვევს, ქალ. თბილისის და თბილისის სამაზრო ერობის შორის განწყობილების საკითხს.

ამ საკითხის დამუშავება მინდობილი აქვს გამგეობის თავმჯდომარეს ონიაშვილს და ხმოსან ხუნდაძეს.

გამგეობის წევრები ფიქრობენ, რომ ერობის ხარჯში მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალ. თბილისმა. აღნიშნულია, რომ მთელს მაზრაში, ქალ. თბილისი არი მჭიდროთ დასახლებული და მას შეუძლია ერობის სიმძიმე შეამსუბუქოს.

დღემდის, ქალაქის თვითმართველობა სარგებლობდა როგორც ქალაქის ისე ერობის გადასახადებით. შემუშავებული პროექტით, ერობის ყველა გადასახადი, რომელსაც ახდევინებენ ქალაქს, უნდა შეტანილ იქნეს ერობის სალაროში.

✱ **თბილისის ერობაში.** თბილისის ერობის გამგეობის მიერ მოწყობილი მფრინავი რაზმი, ეპიდემიასთან საბრძოლველათ უკვე გაემგზავრა თავის ალაგზე.

✱ **თბილისის ერობის გამგეობამ** გაგზავნა ცენტრალურ სასურსათო საბჭოში, თავისი წარმომადგენელის სახით, გამგეობის წევრი მამულაშვილი.

✱ **ეპიდემიასთან ბრძოლისთვის.** თბილისის მაზრის ერობის გამგეობამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თანახმად ერობის გამგეობის დადგენილებისა თბილ. მაზრაში პარტახტიანი ტიფის ეპიდემიასთან საბრძოლველათ თვითეულ საერობო უბანში თხუთმეტ საწოლიანი გადაძებ სენისთვის ფარდული გახსნა, რისთვისაც ერობას ესაჭიროება ქონების მიღება მომარაგების კომიტეტიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯზე.

ერობის მთავარ ინსტრუქტორმა ტ. მარგელაშვილმა უკვე დაამთავრა და საბოლოოდ ჩააბარა თავისი საქმეები შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას. ერობები 12 მაზრაშია შემოღებული. 4 განაპირა მაზრებში, რომელნიც აქამდე ოსმალეთს ეკავა, ერობის შემოსაღები აპარატი მოწყობილია. მთავრობის მიერ გადადებული 238.000 მანეთიდან დახარჯულია 219.000 მან. საშუალოდ თითო მაზრაზე დახარჯულა 12.915 მ. და 82 კ. მთელ საქართველოში არჩეულია 407 ხმოსანი. ამგვარად თითო ხმოსნის არჩევა 537 მან. და 48 კ. დამჯდარა.



✱ **გზების გადაცემა ერობებისთვის.** საერთაშორისო კომისიამ, რომელიც შესდგა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, თანახმად გასული წლის 5 ნოემბრის დადგენილებისა, გზების ერობებზე გადაცემის შესახებ, შემდეგი დადგენილება გამოიტანა. ის ერობათა გზები, რომელნიც საკანონმდებლო წესით ცნობილი იქნებიან სტრატეგიულად და რომელთა გამგებლობაც ხაზინის ხელში იქნება, უნდა გადაეცეს გზათა სამინისტროს აგრეთვე რკინის გზის ლიანდაგი და მათზე ხელოვნური მოწყობილებაც გზათა სამინისტროს უნდა გადაეცეს. ხოლო რკინის გზის მოძრავი ქონება და ინვენტარი ერობას უნდა გადაეცეს. ეს გზები და სხვა ერობების გზები დროებით იმ ადმინისტრატიულ უწყებათა განკარგულებაში დარჩებიან რომელნიც მათ დღეს განაგებენ; როდესაც ცენტრალი საერობო დაწესებულება შესდგება საქართველოს ყველა გზები მას უნდა გადაეცეს.

შინაგან საქმეთი სამინისტრომ განკარგულება მოახდინა ერობებს შემდეგი გზები და ტეხნიკური შენობანი გადაეცეს:

1) ქუთაისის ერობას—გზები ქუთაის-ხონის, სამტრედია ხონის, ქუთაის-გელათის და ქუთაის-წყალტუბის.

2) ოზურგეთის ერობას—ნატანებიდან წმ. ნიკოლოზის სადგომამდე.

3) ზუგდიდის ერობას—ზუგდიდ-ანაკლიას გზები და მდინარე ლელოკზე ხიდები.

✱ **ხონის და სამტრედიის რკინის გზის გაყვანის შესახებ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობას მოლაპარაკება ქონდა ინჟინერ სვიშჩენსკისთან.** ამ დღეებში შეუდგებიან საერთო გეგმის შემუშავებას.

**მასწავლებლების მოსამზადებელი კურსები.** გორის ერობის გამგეობის ინიციატივით, პირველი თებერვლიდან, გორის სამასწავლებლო სემინარიასთან, იხსნება მასწავლებლების მოსამზადებელი კურსები. მიღებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც გაუვლიათ არა ნაკლებ ოთხი კლასის კურსი საშუალო სასწავლებელში. კურსი გაგრძელდება 5—6 თვე. სწავლა უფასო იქნება. კურსების მსმენელებს, აგრეთვე მიეცემათ უფასო ბინა, განათება—გათბობით.

✱ **კულტურულად დამუშავებული მიწების ერობაზე გადაცემა.** გორის ერობის გამგეობამ ვადასწყვიტა აილოს თავის განკარგულებაში ის კრლტურულად დამუშავებული მიწები, რომელნიც ჯერ არ არი მიღებული სამიწათმოქმედო სამინისტროს მიერ და იმყოფებიან გამოურკვეველ მდგომარეობაში. ერობის გამგეობამ აღძრა თხოვნა სამიწადმოქმედო სამინისტროს წინაშე, რათა ნება მიეცეს ამ მიწების მათ განკარგულებაში დატოვებისა.

ერობის გამგეობა, თხოულობს აგრეთვე, რომ სოფ. ქვემო—ჭალაში მდებარე ამილახვარის მამული, თავისი შენობებით, გადაცემულ იქნეს მათ განკარგულებაში.

სამიწათმოქმედო სამინისტრო, ერობის დახმარებას ძალიან საჭი-

რომს. ეს იქიდან სჩანს, რომ სამიწათმომქმედო სამინისტრომ უკვე გადასცა ერობას სოფ. ტინისხილში მდებარე გიორგი ამილახვარის მამული სივრცით 73 დესიატინა.

✱ **აგრონომია გორის ერობაში.** გორის ერობის გამგეობამ უკვე დაიწყო მიღება, სამაზრო აგრონომ ქურდიანისაგან, ყველა საქმის საწყობების სასოფლო სამეურნეო მანქანებისა.

მოწვეულ უნდა იქნეს თათბირი, სამაზრო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებების, კოოპერატივების, აგრონომების და სხვა. თათბირი განიხილავს საკითხს, რომელიც შეეხება სასოფლო მეურნეობის აყვავებას.

✱ **სასურსათო საქმე.** გორის ერობის გამგეობა სასურსათო საქმის ორგანიზაციის მოწყობის დროს, ფიქრობს, იმუშაოს გორის კოოპერატივების კავშირთან ერთად.

ერობის გამგეობამ, მცხოვრებთათვის დასარიგებლათ მიიღო ორი ვაგონი ნავთი და 1/2 ვაგონი შაქარი.

✱ **გორის ერობის თავმჯდომარე, ცენტრალ სასურსათო საბჭოში.** დროებითი თავმჯდომარეთ გორის ერობის ცენტრალ სასურსათო საბჭოში არჩეულია ვ. ზ. ცაბაძე.

✱ **შარა გზის შეკეთება ცხინვალსა და გორს შუა.** სატეხნიკო კომისიამ აღძრა საკითხი, რათა შეკეთებულ იქნეს ცხინვალსა და გორს შუა მდებარე გზა. ეს გზა ცუდ მდგომარეობაშია.

ცხინვალის შარა გზა ითვლება სტრატეგიულ და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზათ. გზათა მიმოსვლის სამინისტრო ფიქრობს გადასცეს ამ გზის გაკეთება ერობას და პირდება ყოველნაირი მატერიალური დახმარების აღმოჩენას-

გზის შეკეთების დროს, სატეხნიკო კომისია ფიქრობს ისარგებლოს ადგილობრივი მცხოვრებთა; ძალებით ეხლა კომისია ათვალღერებს გზას და ადგენს ხარჯთაღრიცხვას.

✱ **რკინის გზა ცხინვალში.** გორის ერობაში დაიბადა საკითხი ცხინვალში რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ საკითხის გადასაჭრელათ მოწვეული იყო სპეციალური თათბირი ერობის გამგეობის სატეხნიკო კომისიის, ვაქარ-მრეწველთა კავშირის წარმომადგენელების, კოოპერატივების და სხვა.

ცხინვალში რკინის გზის გაყვანის შესახებ არი ორი პროექტი.

ერთი პროექტის მიხედვით ეს რკინის გზა უნდა მოეწყოს გორსა და ცხინვალ შუა შარა გზის ნაპირზე. მეორე პროექტით კი გზა უნდა იქნეს გაყვანილი სადგურ სკრიდან მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე.

ეს რკინის გზის ლიანდაგი შევა სოფ. შინდისში, ხვითში, ნიკოთში და ბოლოს კი მივა ცხინვალში.

თათბირმა მოიწონა მეორე პროექტი. ამ მეორე პროექტით მოწყობილი გზა უფრო მოკლეა და ერთი ხიდის გაკეთების მეტი არ დასჭირდე-

ბა, ისიც მდინარე მტკვარზე. სამუშაო მასალები შეიძლება მიწვდენილ იქნეს მდინარე ლიხვით. გარდა ამისა, სკრა—ცხინვალის რკინის გზას ექნება უფრო ეკონომიური მნიშვნელობა ვიდრე გორი—ცხინვალის რკინის გზას.

ამ გზისათვის მასალების შესაკრებათ, თათბირმა გამოყო განცალკავებული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: ერობის სატეხნიკო კომისიის სრული შემადგენლობა, გორის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლები, სავაჭრო სამრეწველო კავშირის წარმომადგენლები, გორის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლები და ცხინვალის საზოგადოების წარმომადგენლები.

კომისიას უკვე ქონდა მოლაპარაკება სამინისტროებთან. გზის მიმოსვლის მინისტრი დაპირდა მათ მიაწვდინოს რკინის გზის ლიანდაგისათვის „რელსები“ და მოძრავი „სასტავი“.

საფინანსო მინისტრი ა. ჟურული დაპირდა ყოველწლიურ დახმარების აღმოჩენას.

✳ **საექიმო საშვალეობა.** გორის ერობის გამგეობამ, ეპიდემიასთან საბრძოლველათ, მოაწყო რაზმი. ძლიერ გავრცელებულია ეპიდემია ცხინვალის რაიონში. იქ მძვინვარებს ისპანიური სენი და შავი ჭირი (სიპნოი ტიფი). ერობამ აიღო თავის განქარგულებაში ცხინვალის საავათმყოფო.

✳ **გორის მაზრის ბეითალი.** გორის მაზრის ბეითლათ და ერობის გამგეობის საბეითლო განყოფილების გამგეთ მოიწვიეს, ზ. ედილაშვილი. მაზრაში მოდებულია საქონლის ჭირი. ერობის გამგეობა ზრუნავს ცხოველთა ასაცრელი შრატის შექმნაზე.

✳ **ტყით სარგებლობა.** გორის ერობის გამგეობა სამაზრო ტყის მწარმოებელთა გამგეობასთან კონტაქტში, შევიდა რათა საერთო ძალით დაიცვან ტყე გაკაფვისგან.

ერობის გამგეობის ტყის სამაზრო რევიზორი ი. ხანტრევერი დაპირდა, ტყის მოჭრის ნებართვის ქალაქი მისცეს, არა მარტო ქალ. გორში, არამედ ცხინვალის, ქარელის და ახალქალაქის რაიონებშიც. ამით ხალხს საშვალეობა ეძლევა, არ იაროს ყოველთვის გორში, არამედ მიმართავს ამ ზემო ხსენებულ პუნქტებშიც.

ტყე ეძლევა მცხოვრებლებს შემდეგი ფასით:

გასაყიდათ 44 მან ოთხ. საე. თავის მოთხოვნილებისათვის 25 მან. ოთხ. საე. ფიჩხი 11 მან. ოთხ. საე.

უფასოთ ტყის გაცემა საბოლოოთ შეწყვეტილია.

✳ **გორის სამაზრო ერობამ** აიღო იჯარით ატენის ხეობაში ტყის მასალის სახერხი ქარხანა. 24 იანვარს დაწვრილებითი პირობები შეიმუშავეს სამიწათმომქმედო სამინისტროსთან; ერობის საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ცაბაძემ და გამგეობის წევრმა გ. გაგლოევმა.

✳ ერობის გამგეობის წევრმა პ. ეფრემიძემ; სასურსათო საქმის მო-

საწესრიგებლად იყიდა ორი ვაგონი ნავთი და გადასცა კოოპერატივთა კავშირებს, სოფლებში დასავზავნათ და გასაყიდათ. ამის გამო ნავთის ფასი დაეცა 10-12-მან; 5—6 მანეთამდე.

✱ გამგეობის წევრმა პ. ეფრემიძემ მიიღო მომარაგების კომიტეტიდან 500 ფუთი საპონი 160 მანეთად ფუთი; ფასს გამგეობა დაადებს და იმედია საპნის ფასიც, მაზრაში, საგონძობლათ დაეცემა.

✱ ეპიდემიასთან ბრძოლა. ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობა შეუდგა გვემის შემუშავებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეპიდემ. ბრძოლა.

✱ ექიმთა რაზმის გაგზავნა. ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ უკვე გაგზავნა ექიმთა რაზმი. ეპიდემიასთან საბრძოლველათ ტობანიერის საზოგადოებაში.

✱ 17 იანვარს, ქუთ. საზოგადო. საკრებულოში შესდგა საერობო ყრილობის მეორე სესია. დაესწრო 30 ხმოსანი. ყრილობამ მიიღო დაამტკიცა შემდეგი დღიური წესრიგი: 1) კომისიების არჩევა, 2) 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში, 3) 1919 წლის ხარჯთაღრიცხვა, 4) მცირე ერთეული, 5) ხონის რკინის გზა, 6) გამგეობის მე-5-თე წევრის არჩევა, 7) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, 8) ავტომობილთა მიმოსვლის მოწყობა 9) მიმდინარე კითხვები. არჩეულ იქნა შემდეგი კომისიები: 1) სარევიზიო კომისია, 2) საფინანსო-საბიუჯეტო, 3) საადმინისტრაციო, 4) საექიმო და სასანიტარო, 5) აგრონომიული და საბეითლო, 6) ტექნიკური კომისია, 7) იურიდიული კომისია, 8) საშკოლო, 9) ხონის რკინის გზის კომისია.

✱ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ უნდა ჩაიბაროს ქუთაისის სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტი, მთელი თავისი საქმეებით.

✱ ერობა დუშეთის მაზრაში. 5 იანვარს გაიხსნა პირველი სესია დუშეთის სამაზრო ერობის კრებისა. ხმოსანთა რიცხვი 25-ია 20 სოციალ-დემოკრატი და 5 სოციალისტ-ფედერალისტი. სესიის განხნის დროს გამოცხადდა 15 ხმოსანი. დანარჩენი ხმოსნები ფრონტზე იყვენ და ზოგიც ომმა საქმეს მოსწყვიტა.

ერობის კრების პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ დ. ჩხეიძე (ს. დ.), თავმჯდომარის ამხანაგათ პ. ირაშვილი (ს. ფ.) და მდივანათ მანჭაველაძე (ს. დ.)

პირველ სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენება სხვა და სხვა საკითხებზე.

საერთო ყურადღება მიიქცია მოკ. ჩიმაკაძის მოხსენებამ, რომელშიაც მან გააცნო კრებას, მაზრაში სწავლის საქმის მდგომარეობა. მეტად სამწუხარო სურათი წარმოდგა: საუკეთესო მასწავლებლები სტოვებენ სასწავლებლებს, მცირე ჯილდოს გამო, არ სურთ. სამსახური მიყრუებულ სოფლებში, არ იშობა სახელმძღვანელოები და სხვა.

მეტად სამწუხარო მდგომარეობაში ყოფილა ფოსტა-ტელეგრაფის საქმეც. უზარ-მაზარი ქვაშეთის მაზრა, თავისი სოფლებით, მთით და ზევით, გარიყულია, და არავითარი საქართველოს ფოსტის მიმოსვლა იქ



არ წარმოებს. სამაგიეროთ კი ქვაშეთის რაიონი მკიდროთ დაკავშირებულა ჩრდილოეთ კავკასიის ფოსტასთან.

ერობამ გადასწყვიტა აილოს თავის განკარგულებაში და მოაგვაროს, ახლო მომავალში, ფოსტის საქმე.

რაც შეეხება სამაზრო ადმინისტრაციას, ამაზე შეიძლება ითქვას, რომ არც ის არი კარგათ მოწყობილი, მიუხედავათ იმისა, რომ ხშირათ ხცვლება კომისრები, ადმინისტრაციის წევრები და მილიციონერები, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს მცირე ჯამაგირის გამო, საუკეთესო პირები კი, ერიდებიან ადმინისტრაციის და მილიციის სამსახურში შესვლას.

დუშეთის მაზრაში, ქსანის ხეობა მეტად მდიდარია მატყლით, ერბოთი და რძით. კარგათ დაყენებულ საქმის დროს, ქსანის რაიონს შეუძლია იმდენი მატყლი მისცეს საქართველოს, რომ მოჭარბებული გატანილ იქნეს საზღვარ გარეთაც კი. მაგრამ რაიონის ცენტრში დაბა ახალ გორში დაარსდა ერთგვარი ჯგუფი სპეკულიანტების და შემყიდველების, რომლებიც ხელს უშლიან მატყლის ბაზარზე გამოტანას. ერობამ უნდა გასწიოს ამ სპეკულიანტებთან ბრძოლა და მოაგვაროს ეს საქმე.

✳ სამაზრო გამგეობა არჩეულია შემდეგ პირებიდან: თავმჯდომარე დ. ჯაშაშვილი; ი. ჩიმაკიძე, გრ. ძარშევი, იოს. დიდიგური, ალ. ინაშვილი.

ტ. ჯანაშვილი გამოწვეულია ბაქოდან—ის გამოცდილი ძველი ერობის მოღვაწეა.

✳ მედიკო-სანიტარული საქმე. სიღნაღის ერობის გამგეობამ, თავის განკარგულებაში, ფაქტიურათ, უკვე მიიღო 2 მაზრაში მდებარე საერობო ავადმყოფთა მისაღები სამკურნალო. ერობამ იქ ექიმები უკვე დანიშნა.

მაზრაში იმყოფება აგრეთვე სამი ავადმყოფთა მისაღები სამკურნალო, რომელიც ინახება სოფლის საზოგადოებების ხარჯით. ორი მათგანი, თავის მოწყობილობით უკვე გადაცემულ იქნა ერობის განკარგულებაში.

✳ გზები. ერობის გზები, სიღნაღის მაზრაში, ოფიციალურათ ჯერ კიდევ არ არი გადაცემული ერობაზე, მაგრამ ფაქტიურათ კი მას განაგებს ერობა. გროვდება მასალა გზების შესაკეთებლათ.

ცალფა გზა, სიღნაღსა და მელაანს შუა უნდათ გადააკეთონ შარა გზათ. ორი გზის გასასწორებლათ გადადებულია 84 ათასი მანეთი.

✳ სახალხო განათლება. სიღნაღის ერობის გამგეობამ დაიწყო სკოლების მიღება როგორც ერობების ისე სამინისტროსი.

ერობამ, უახლოეს მიზნათ დაისახა მოწაფეთა შრომის პირობათა და სკოლების შენობების გაუმჯობესება. დაბალი სკოლების გახსნის შესახებ ჯერ არ ფიქრობენ.

მაზრაში არის ერთი უმაღლესი პირველ-დაწყებითი სკოლა. პარლამენტის მიერ მიღებული გეგმის მიხედვით იქ უნდა გაღებულ იქნეს უმაღლესი პირველ-დაწყებითი სკოლა. კრედიტი მათზე მიცემულია მთავრობის მიერ.

ერობას მიზნათ აქვს დასახული, სიღნაღში, მოაწყოს დიდ-სამაზრო ბიბლიოთეკა და გააღოს თავისი საკუთარი წიგნის მაღაზია. მიღებულია ზომები, რათა გახსნილ იქნეს სახალხო უნივერსიტეტი მოძრავი განყოფილებით. ამის შესახებ მოლაპარაკება იქონიეს სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან. ფიქრობენ აგრეთვე დაარსონ სამუსიკო სკოლა.

✱ **ერობის გადასახადი თუთუნზე.** სიღნაღის ერობის გამგეობამ, თხოვნით მიმართა მთავრობას, რათა ნება მიეცეს მას, რომ შემოღებული იქნეს თუთუნზე (ფუთზე), 5 მანეთი ერობის ბაჟი. ერობის ცნობით, მაზრაში მოიპოება 50.000 ფუთი თუთუნი. მათი გაზიდვა, ნებადაურთველათ აკრძალულია. ერობის პროექტის მიხედვით, თუთუნის გაზიდვის ნებართვა უნდა მიეცეთ იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი იქნება, ერობის სასარგებლოთ, გადახდილ ბაჟის კვიტანცია.

სიღნაღის ერობის თხოვნა გადაცემულ იქნა განსახილველათ ფინანსთა სამინისტროში.

ფინანსთა მინისტრმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ ერობა ფინანსიური მხრივ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, შესაძლებლათ სცნო შემოღებულ იქნეს ერობის გადასახადი ფურცლოვან თუთუნზე, პლანტაციებზე და საწყობებზე. გადასახადი შეიძლება იქნეს შემოღებული შემდეგ ნაირათ: ა) გადასახადი შემოღებულ უნდა იქნეს 1919 წლისთვის. 1920 წლის 1 იანვრიდან კი მოხსნილი უნდა იქნას. ბ) საწყობიდან გამოტანის დროს, თუთუნი უნდა დაიბაჟოს, თუ ის პლანტაციიდან გამოზიდვის დროს არ იყო დაბაჟული. გ) ფულს იბარებს არა აკციზი, არამედ უნდა იქნეს შეტანილი ერობის სალაროში ან და ხაზინაში, ერობის ანგარიშზე. თუთუნის გაზიდვის დროს, აქციზს უნდა წარუდგინდეს კვიტანცია გადახდილ ბაჟისა და ერობის გამგეობის მიერ მიცემული თუთუნის გაზიდვის ნებართვის მოწმობა. დ) თუ კი 1919 წელში გადიდებულ იქნა საფუთო სახაზინო გადასახადი თურცლოვან თუთუნზე, ამ შემთხვევაში ერობის გადასახადი თუთუნზე მოხსნილ უნდა იქნეს, იმ დღიდანვე რა დღესაც შემოღებულ იქნება გადიდებული სახელმწიფო გადასახადი.

საფინანსო და შინაგან საქმეთა სამინისტროს ეძლევა წინადადება შეადგინოს მოხსენება, ერობების და ქალაქთა თვითმართველობების, სახელმწიფო ყოველ—გვარ გადასახადებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

**ზუგდიდის ხამაზრო ერობა.** ზუგდიდის ხამაზრო ერობა უკვე მოეწყო. თავმჯდომარეთ არჩეულია ლ. შენგელია. გამგეობის წევრებია: ნ. ბერიძე, ვ. კავეარაძე, ლ. კოდუა და შ. დადიანი.

გამგეობას ჯერ-ჯერობით მხოლოდ რამდენიმე სხდომა ქონდა. სხვათა შორის ერთი ზომათაგანი, რომელიც გამგეობამ მიიღო არის შემდეგი: შეადგინა მედიკო-სანიტარული მფრინავი რაზმი, მაზრაში გავრცელებულ ეპიდემიასთან საბრძოლველად.

დაარსდა კომისიები სხვა და სხვა კითხვების შესასწავლად და მოხსე-

ნებების დასამზადებლად, მომავალ ყრილობაზე წარსადგენათ, რომელიც თებერვალში უნდა მოხდეს. კომისიების შედგენა დავალებული აქვს გამგეობის წევრებს.

გამგეობასთან თანამშრომელად მოწვეულია ი. მეუნარგია, რომლის ხელმძღვანელობით შემუშავდება ერობის ხარჯთაღრიცხვა.

გამგეობას განზრახული აქვს, მაზრის ექვს უბნათ დაყოფა და მომრიგებელ მოსამართლეების მოწვევა.

სხვა და სხვა კითხვების გამოსარკვევათ და ყრილობის მიერ აღძრულ შუამავლობათა წარსადგენათ მთავრობაში, ზუგდიდიდან თბილისში ჩამოვიდა ერობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია.

✱ **სენაკის ერობის გამგეობამ** მიიღო თავის განკარგულებაში ერობის და სამინისტრო შკოლები, რომელნიც იმყოფებიან სენაკის მაზრაში. ერობამ მიიღო აგრეთვე აბაშის საავათმყოფო 20 საწოლით.

✱ **სენაკის ერობამ მოაწყო**, აბაშას და ბანძას შუა ავტომობილებით მიმოსვლა. ახლო მომავალში, გზების შესწორების და გაწმენდის შემდეგ, ავტომობილები იმუშავენ ნაოლაღევამდის.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს საქმე ახალი მოწყობილია, დიდ შემოსავალს აძლევს ერობას.

✱ **ერობის მცირე ერთეული სენაკის მაზრაში.** იანვრის პირველ რიცხვებში, სენაკის მაზრაში, იყო დანიშნული, ერობის მცირე ერთეულის არჩევნები. ერობის ერთეული არსდება ყველა სოფლის საზოგადოებებში.

✱ **ერობათა დაწესებულებანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში.** შინაგან საქმეთა მინისტრმა აღძრა საკითხი მთავრობასთან, რათა მიეცეს მას ნება უარი განუცხადოს ხოლმე, 1919 წ. კრედიტის გახსნაში, ერობათა დაწესებულებებს. 1918 წელში მას ასეთი ნება მიცემული ჰქონდა, და კრედიტი ეხსნებოდათ ხოლმე, 1914—1917 წლების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

✱ **საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა კავშირის გამგეობა** სთხოვს რესპუბლიკაში მცხოვრებ ექიმთ ჩაწერონ კავშირის წევრად. საწევრო ფული — 30 მან. წელიწადში — შეიძლება გამოიგზავნოს შემდეგი მისამართებით: 1) კავშ. თავმჯდომარეს ი. ელიაშვილს. (საპიორნის ქუჩა № 11). 2) თავმჯდომარის აშხ. ა. მაღალაშვილს, (ყორღანოვის ქუჩა № 12). 3) კავშ. შირის მდივანს ი. ლომოურს, (ქსენიას ქუჩა № 10).

რედაქცია: **სარედაქციო კოლეგია.**  
 გამომცემელი: **საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი.**

## Высшіе органы Земскаго Управленія.

Въ минувшемъ и нынѣшнемъ году въ Грузіи, какъ извѣстно, были произведены выборы уѣздныхъ гласныхъ, но губернское земство еще не сформировалось. Въ виду того, что Грузію составляютъ 2½ губерніи и что онѣ пространствомъ менѣе обычныхъ размѣровъ русскихъ губерній, возникла мысль объ организациіи вмѣсто губ. земствъ одной центральной управы на всю страну. Нѣкоторые предлагаютъ еще болѣе упростить земскую организацию: центральную управу слить съ центральнымъ управленіемъ правительства по дѣламъ земства.

Мы не раздѣляемъ этого взгляда. Если бы уѣздныя земскія собранія немедленно приступили къ выбору губернскихъ гласныхъ, какъ это требовалось дѣйствующимъ у насъ земскимъ положеніемъ, то образовавшееся такимъ образомъ губернское земство могло бы значительно облегчить уѣзднымъ управамъ наладить земскую работу на мѣстахъ.

Такъ по крайней мѣрѣ было въ Россіи. Губернскія управы и собранія, по своему составу болѣе подготовленныя и интеллигентныя, чѣмъ уѣздныя, умѣло руководили послѣдними. Современникъ введенія земства въ Россіи, Скалдинъ подробно останавливается въ концѣ своей извѣстной книги\*) и иллюстрируетъ это положеніе многими примѣрами.

Чтобы выяснитъ, насколько важную роль играло губернское земство въ Россіи, мы здѣсь въ краткихъ словахъ перечислимъ рядъ его главныхъ обязанностей, какъ они изложены въ земскомъ положеніи, примѣненномъ и къ Закавказью (см. „Временное положеніе о земскихъ учрежденіяхъ въ Закавказь.“).

Губернское земство прежде всего имѣетъ цѣлью удовлетвореніе хозяйственныхъ нуждъ губерніи, т. е. дѣлаетъ то, что не посильно для уѣздныхъ земствъ, отдѣльно взятыхъ. Вмѣстѣ съ тѣмъ свойство дѣлать, предоставленныхъ губернскимъ земскимъ собраніямъ, то же самое, которое предоставлено уѣзднымъ, въ предѣлахъ уѣзда, и волостнымъ—въ предѣлахъ волости.

Кромѣ того, губернскимъ земскимъ собраніямъ въ особенности предоставляются слѣдующія дѣла (ст. 112), кратко здѣсь изложенныя:

\*) См. книгу Скалдина „Въ заходустѣ и столицѣ“, 1870 г., Петерб.



1. Распредѣленіе между губернскими и уѣздными земствами повинностей и завѣдываніе отдѣльными отраслями земскаго хозяйства.

2. Раскладка между уѣздами госуд. сборовъ, предоставленная закономъ. Равно раскладка земскихъ сборовъ съ торг. документовъ и патентовъ.

3. Раскладка дорожнаго капитала между губернскимъ и уѣздными земствами.

4. Распредѣленіе между уѣздами суммъ на содержаніе нѣкоторыхъ мѣстъ заключенія и исправит. пріютовъ.

5. Установленіе повинностей по истребленію вредныхъ насѣкомыхъ и животныхъ.

6. Установленіе таксъ вознагражденія за погравы, порубки и лѣсные пожары.

7. Дѣла по взаимному земскому страхованію и перестрахованію, и прочія менѣе въ важныя дѣла.

Слѣдующія постановленія губернскихъ и уѣздныхъ земскихъ собраній подлежатъ утвержденію высшей власти: 1. договоры съ частными предпринимателями объ устройствѣ и эксплуатациіи ими земскихъ сооружений и предпріятій общаго пользованія на срокъ свыше 12 л. или съ стоимостью свыше 500 тыс. руб., 2. о прекращеніи дѣйствія пенсіонныхъ и эмеритальныхъ кассъ служащихъ въ земскихъ учрежденіяхъ и объ условіяхъ ихъ ликвидаціи и 3. объ обращеніи губ. и уѣздн. дорогъ въ проселочныя и объ устройствѣ новыхъ и перенесеніи существующихъ приставей на судоходныхъ рѣкахъ и озерахъ (ст. 134).

Утверждаются высшей властью также постановленія земскихъ собраній: 1, о заключеніи займовъ облигаціонныхъ и подъ залогъ принадлежащихъ земству недвиж. имущества и капиталовъ, состоящихъ въ завѣдываніи земства и 2, о заключеніи иныхъ займовъ и о поручительствахъ и гарантіяхъ отъ имени земства, если сумма ихъ въ общей сложности съ прежними обязанностями превышаетъ сумму годового итога земск. доходовъ (ст. 135).

Мотивированный отказъ высшею властью сообщается земству и постановленіе послѣдняго считается несостоявшимся. Но когда основаніемъ для такого рѣшенія высшей власти (министерства) послужило несоотвѣтствіе постановленія съ закономъ, то собранію предоставляется принести жалобу сенату въ мѣсячный срокъ (ст. 138).

Губернскимъ и уѣзднымъ земскимъ собраніямъ предоставляется составлять и издавать обязательныя постановления: 1, о противопожарныхъ мѣрахъ, 2, по строительной части, 3, о путяхъ сообщенія, 4, по жилищномъ вопросу, 5, о предохраненіи отъ заразныхъ и другихъ мѣстныхъ болѣзней, 6, о торговлѣ и рынкахъ, 7, о вѣсахъ, 8, объ охраненіи порядка и продажѣ вина, 9, объ охраненіи памятниковъ, 10, о пользованіи водой, 11, о борьбѣ съ вредителями сел. хоз. и о предосторожности при пользованіи сел. хоз. машинами и 12, по всѣмъ предметамъ, по которымъ дѣйствующими уставами предоставлено земству издавать обязат. постановления (ст. 179).

Обязательныя постановления, конечно, не должны противорѣчить законамъ. При разсмотрѣннн проектовъ этихъ постановленій земствомъ участвуютъ соотвѣтствующіе представители мѣстныхъ специальныхъ органовъ управленія, какъ наприм. медиц. управленія, инженернаго вѣдомства, министерства торговли и промышленности и пр. Опротестованное комиссаромъ обязательное постановление можетъ быть отмѣнено администр. судомъ, въ виду нарушенія закона (ст. 139).

Дальнѣйшія статьи говорятъ, что постановления земскихъ собраній, неподлежащія утвержденію, могутъ быть тоже опротестованы передъ администр. судомъ со стороны губ. или уѣзднаго комиссара. Но въ печати уже сообщалось, что земству предоставляется все мѣстное управленіе, и должности комиссаровъ или упраздняются или будутъ находиться въ вѣдѣннн земства. Точно также, самъ собой повидимому отпадаетъ законъ предоставляющій комиссарамъ представлять высшей власти вышеуказанные постановления земскихъ собраній, со своими объясненіями и заключеніями.

Губернская управа является исполнительнымъ органомъ и дѣйствуетъ въ предѣлахъ опредѣленій губ. земскихъ собраній. Предсѣдатель и Члены управы избираются земскимъ собраніемъ. Оно же избираетъ лицъ въ помощь управѣ для ближайшаго завѣдыванія отдѣльными отраслями земскаго управленія и хозяйства, членовъ особыхъ Исполнительныхъ комиссій (совѣтовъ), участковыхъ попечителей и др.

Жалобы частныхъ лицъ, обществъ и установленій въ случаѣ нарушенія ихъ гражданскихъ правъ дѣйствіемъ земства приносятся на общемъ основаннн суду. Дѣйствія суда могутъ быть обжалованы заинтересованными сторонами въ сенатъ (ст. 175).

Возникаетъ вопросъ, можно ли всё эти функціи передать одной центральной управѣ, упразднивъ губернское земство. Мы уже высказались за сохраненіе губернскаго земства, какъ органа, руководящаго низшими ступенями земства. Какъ органъ, обладающій наиболѣе подготовленными интеллигентными силами, онъ по нашему мнѣнію, крайне необходимъ. Какъ органъ, избранный мѣстными людьми специально для мѣстныхъ вопросовъ (губернскіе гласные избираются изъ числа уѣздныхъ гласныхъ), онъ наиболѣе компетентенъ въ своей сферѣ.

Остается только вопросъ, нужно ли въ каждой губерніи особое губернское земство или его можетъ замѣнить, какъ мы выше сказали, одна центральная управа? Предполагается, что она можетъ справиться безъ центральнаго земскаго собранія, замѣняющаго губернское земство.

Нынѣшняя территорія Грузіи по пространству своему и населенію не превышаетъ обыкновенной русской губерніи. На Кавказѣ губерніи представляли собой болѣе мелкую единицу и поэтому не удивительно, что въ составъ Грузіи вошли 2½ губерніи (Тифлисская и Кутаисская губерніи и Сухумскій округъ).

Но не даромъ на Кавказѣ была допущена такая дробность. Въ то время, какъ въ Россіи, большей частью территорія губерніи представляетъ степь и поэтому пути сообщенія природой облегчены, на Кавказѣ пересѣченность мѣстности высокими горами и быстрыми рѣками дѣлаетъ сообщеніе разныхъ частей губерніи затруднительнымъ. Шной разъ нагорныя селенія бывають отрѣзаны всю зиму и болѣе отъ другихъ частей губерніи. Въслѣдствіе этого районъ надзора со стороны администраціи суживается, а вмѣстѣ съ нимъ суживаются и районы губерній.

Кромѣ того, губерніи въ Россіи по сравненію съ Кавказомъ, имѣють болѣе однородное населеніе, какъ въ этнографическомъ отношеніи, такъ въ экономическомъ. Въ русскихъ губерніяхъ болшею частью населеніе сплошь русское, и занятія ихъ сплошь земледѣльческія. Не то мы видимъ на Кавказѣ. Нерѣдко въ предѣлахъ губерніи мы встрѣчаемъ людей разнаго происхожденія и говорящихъ на разныхъ языкахъ. Мы видимъ рядомъ населеніе, занимающееся хлѣбопашествомъ, садоводствомъ, шелководствомъ, скотоводствомъ и разными другими промыслами. И даже въ такихъ болѣе однородныхъ, въ смыслѣ этнографическомъ, губерніяхъ, какъ наприм. въ Кутаисской, живутъ

люди, хотя и одного племени, но съ разными обычаями, разными нарѣчїями, разными занятїями. Въ этой губернїи живутъ имеретинцы, и гурїйцы, и мингрельцы, и сванеты. И тутъ пестрота губернїи не позволяетъ администраціи слишкомъ расширить территорїю своего района.

Вотъ почему намъ казалось, что одному губернскому земству, пожалуй, не по силамъ объединить всѣ провинціи Грузїи. Тѣмъ болѣе затрудненїй представить сосредоточенїе руководства земскимъ дѣломъ въ одной центральной управѣ, безъ задачи ей центрального земскаго собранїя, на правахъ губернскаго земства.

